პროლეტარებო, ყველა ქვეყნისაკენ, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტის და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 22-ე წელი

ქვირა, 20 იანვარი, 1952 წ. № 17 (9177). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

ლენინიზმი მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საფუძველია—„პრავდის“ 19-I მოწინავე (1-ლი გვერდი).

მზადება ლენინის დღეებისათვის (1-ლი გვერდი).

თეზი-ოკამის არხის მშენებლობაზე (1-ლი გვერდი).

ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტში (1-ლი გვერდი).

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში (1-ლი გვერდი).

საწარმოთა შეფობა მანქანა-ტრაქტორთა სადგურებზე (მე-2 გვერდი).

საქართველოს პროფსაბჭოში (მე-2 გვერდი).

დ. კალანდაძე — მარქსისტული ფილოსოფიის გენიალური ნაწარმოები (მე-2 და მე-3 გვერდი).

მეცნიერების მიღწევები ჩაისა და ციტრუსების მოსავლიანობის გასაზრდელად საქმეში (მე-3 გვერდი).

გაერთიანებული ეროვნული ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესია (მე-3 გვერდი).

ი. ა. მალიკის განცხადება ქაუმირის საქმეთა საბჭოს 1952 წლის 17 იანვრის სხდომაზე (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ლენინიზმი მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საფუძველია

ჩვენი პარტია უდიდეს მუშაობას ეწევა მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდისათვის, მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის. კომუნიზმის აშენების ამოცანა განუყოფლად დაკავშირებულია მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ამოცანასთან.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი — კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელი და ხელმძღვანელი — გვასწავლიდა, რომ ჩვენი სახელმწიფო ძლიერია მასების შეგნებით.

„კომუნიზმი იწყება იქ,—წერდა ლენინი 1918 წელს ნაშრომში „დიადი თაობობა“, — სადაც ჩნდება უბრალო მუშების თავდადებული, მძიმე შრომის დამძლევი ზრუნვა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, თვითთეული ფუთი პურის, ნახშირის, რკინის და იმ სხვა პროდუქტების დაცვისათვის, რაც ხვდება არა კერძოდ მომუშავეებს და მათს „მახლობლებს“, არამედ „შორეულებს“, ე. ი. საერთოდ მთელ საზოგადოებას, ათეულ და ასეულ მილიონ ადამიანს, გაერთიანებულთ ჯერ ერთ სოციალისტურ სახელმწიფოდ, შემდეგ კი საბჭოთა რესპუბლიკების კავშირად“.

საბჭოთა ადამიანები ყველაზე მაღლა აყენებენ სახელმწიფოს ინტერესებს, კომუნიზმის საქმისათვის ბრძოლის ინტერესებს. მათი მაღალი შეგნება თავს იჩენს თავდადებული შემოქმედებითი შრომით ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ. და რაც უფრო მაღალია მასების შეგნების დონე, მით უფრო აქტიურია მათი მონაწილეობა კომუნისტურ მშენებლობაში. სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლის პერიოდში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მშრომელთა კომუნისტურ აღზრდას, ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების დაძლევას. ჩვენი პარტიის ყურადღების ცენტრშია იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის საკითხები, კადრების თეორიული დონის შემდგომი ამაღლების, მათ მიერ მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დიადი მოძღვრების დაუფლების საკითხები.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი, ამხანაგი სტალინი განსაკუთრებულ ზრუნვას იჩენენ მთელი იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი ამაღლებისათვის, მარქსიზმულ-ლენინური თეორიით კადრების შეიარაღებისათვის, მშრომელთა კომუნისტური შეგნების ამაღლებისათვის, საბჭოთა პატრიოტიზმის, ხალხთა ძმური მეგობრობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მათი აღზრდისათვის.

ჩვენი პარტიის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა იდეოლოგიურ საკითხებზე ახალ საფუძველზე აიყვანა პარტიული და სახელმწიფო ორგანიზაციების მთელი საქმიანობა კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში, მნიშვნელოვნად გაუთმაგებია მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმე. პარტიის ბრძოლამ პოლიტიკამ უზრუნველყო მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა რიგებში მებრძოლი საბჭოთა პატრიოტული სულისკვეთების ბატონობა. უფრო მტკიცე გაიბრძა ჩვენი სოციალისტური კულტურის ყველა საშუალების — პრესის, პროპაგანდის, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების როლი.

პარტიის გიგანტური ორგანიზაციული და აღმზრდელობითი საქმიანობის მეოხებით ლენინიზმის იდეები დაეუფლა მასების შეგნებას, გაერთიანდა ორი დიდი ძალა—ხალხი და კომუნიზმი. ლენინ-სტალინის პარტიის მიერ აღზრდილმა საბჭოთა ადამიანებმა ისწავლეს ყოველდღიური ცხოვრებასა და მუშაობაში თავიანთი მოქმედება და ქცევა დაუმორჩილონ კომუნიზმის აშენების დიად მიზნებს.

დიდი ხელმძღვანელის და მასწავლებლების მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის გენიალური ნაწარმოებნი ჩვენში გამოიცის ხსრ კავშირის ყველა ხალხის ენაზე და მშრომელთა კუთვნილებად, მათს ძლიერ იდეურ იარაღს წარმოადგენს. მილიონობით საბჭოთა ადამიანი სწავლობდა და სწავლობს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებებით, ამ ნაწარმოებებიდან იძენს ცოდნას, რწმენას, ახალ ძალებს მუშათა კლასის საქმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში, პოულობს პასუხს თანამედროვეობის ყველაზე მწვავე საკითხებზე. ლენინიზმის იდეები აღაფრთოვანებს კომუნიზმის საქმისათვის მებრძოლთა გონებასა და ნებას, განუზომლად ადიდებს მათს აქტივობას, მათს შემოქმედებითს ენერგიას.

ლენინიზმი მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საფუძველია. მისი ცხოველმყოფელი იდეები კომუნიზმის მშენებელი მთელი ხალხის მოქმედების სახელმძღვანელოა.

ლენინის უკვდავი საქმის გენიალური განმგრძობი ამხანაგი სტალინი წერდა:

„მაბსოლუდეთ, გიყვარდეთ, შეინარჩუნეთ ილიჩი, ჩვენი მასწავლებელი, ჩვენი გელადი.

ებრძოლეთ მტრებს, შინაურ და გარეშე მტრებს და სძლიეთ ისინი,—ილიჩისებურად.

აშენეთ ახალი ცხოვრება, ახალი ოჯახი, ახალი კულტურა, ილიჩისებურად.

არასოდეს არა თქვათ უარი მცირედზე მუშაობაში, ვინაიდან მცირედისაგან შენდება დიდი,—ეს არის ილიჩის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ანდერძი“.

ჩვენი პარტია იმარჯვებდა და იმარჯვებს ლენინიზმისადმი ერთგულებით. ჩვენ ავაშენეთ კაცობრიობის ისტორიაში უმაგალითო სახელმწიფო — მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფო. კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში ჩვენ ვამარცხებდით და ვამარცხებთ მრავალრიცხოვან მტრებს. ჩვენ წარმატებით ვახორციელებთ ახალი ცხოვრების, ახალი ყოფის, ახალი კულტურის მშენებლობის ამოცანებს. თავის მსოფლიო-ისტორიულ წარმატებებს ჩვენი ხალხი უნდა უმადლოდეს ლენინ-სტალინის ყოვლისმძლე მოძღვრებას, კომუნისტური პარტიისა და ამხანაგ სტალინის — ჩვენი დიდი მასწავლებლისა და ხელადის ბრძნულ ხელმძღვანელობას.

ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი მონაპოვარია ახალი ადამიანის — კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებლის აღზრდა. საბჭოთა ადამიანი ჩვენი დროის მოწინავე ადამიანია. მას ახასიათებს შეგნების მაღალი დონე, პრინციპულობა და გამრჯეობა, სახელმწიფოებრივი ამოცანების შეგნება, კომუნიზმის საქმისადმი ერთგულება, ლენინიზმის იდეების გამარჯვების რწმენა. აღაფრთოვანებს და რაზმავს რა მშრომელებს ლენინიზმის დროშით, ბოლშევიკების პარტია კომუნიზმისათვის ბრძოლის მსვლელობაში ნერგავს და ავითარებს საბჭოთა ადამიანების შესანიშნავ თვისებებს, მათი ხასიათის ახალ თვისებებს — მიზნის სიცხადეს, გულმოდგინებას მიზნის მიღწევის საქმეში და ხასიათის ხიმტკიცეს, რომელიც ყველა და ყოველგვარ დაბრკოლებას ძლევს. ჩვენში აღიზარდნენ ლენინურ-სტალინური ტიპის ხელმძღვანელთა შესანიშნავი კადრები.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში, ძლიერ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სოციალისტურ სახელმწიფოდ ჩვენი სამშობლოს გადაქცევისათვის ბრძოლაში, სტალინური ხუთწლედების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლაში ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა კომუნისტური აღზრდის დიდი სკოლა განვლეს. მილიონობით ადამიანის სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობაში ვითარდება ადამიანთა ახალი დამოკიდებულება შრომისადმი, იზრდება მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივა და აქტივობა.

კომუნიზმის მშენებლობაში სოციალისტური ერების ძმური თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შედეგად ძლიერ მამოძრავებელ ძალებად განვითარდა და განმტკიცდა საბჭოთა პატრიოტიზმი და ხალხთა ურღვევი მეგობრობა. კრიტიკა და თვითკრიტიკა, რაც განუწყვეტლივ მოქმედი იარაღია, ხელს უწყობს ძველის, დრომოჭმულის გადაჭრით აღმოფხვრას და გზას უკაფავს ახალსა და მოწინავეს, ზრდის მასებს საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულების საქმეში მაღალი შეგნებისა და მომთხოვნელობის სულისკვეთებით, მუშაობის ნაკლოვანებებისა და წარსულის ნაშთებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით.

ლენინიზმი გვასწავლის, რომ კომუნიზმი ვერ აშენდება, თუ ჩვენი ადამიანების შეგნებაში ხავხებით არ აღმოიფხვრა კაპიტალიზმის ნაშთები.

სწორედ ამიტომ ებრძვის პარტია შრომისა და სოციალისტური საკუთრებისადმი, სახელმწიფოს ინტერესების დაცვისადმი არაკომუნისტური დამოკიდებულების სხვადასხვა გამოვლინებას. პარტია გადაჭრით სპობს საბჭოთა ადამიანების სულისკვეთებისათვის უცხო ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამოვლინებებს. ამოცანა ის არის, რომ უფრო ღრმად დავეუფლოთ მარქსიზმულ-ლენინურ მოძღვრებას, კიდევ უფრო ფართოდ გავაჩაღოთ მუშაობა მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის, შეურიგებელი ბრძოლა ვაწარმოოთ ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების წინააღმდეგ, ნაციონალიზმის გამოვლინებათა და ყოველგვარ იდეოლოგიურ დამახინჯებათა წინააღმდეგ.

პარტია და სახელმწიფო მთელ თავიანთ კულტურულ-აღმზრდელობითს მუშაობაში ეყრდნობიან ჩვენს ქვეყანაში კულტურული რევოლუციის შედეგად შექმნილ საბჭოთა ინტელიგენციის კადრებს. ეუფლება რა მარქსიზმულ-ლენინურ თეორიას, საბჭოთა ინტელიგენცია აქტიურად მონაწილეობს საბჭოთა წყობილების ხასიათისა და საუძვლის — ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკის განხორციელებისათვის ბრძოლაში. ჩვენი ინტელიგენცია ერთგულად და სიმართლით ემსახურება საბჭოთა ხალხს, მასებში ავრცელებს ლენინიზმის იდეებს, ეხმარება პარტიას გადაწყვეტოს ისტორიული ამოცანა — კულტურული და განათლებული გახადოს ყველა მუშა და გლეხი.

ლენინ-სტალინის პარტია, ზრდის რა ხალხს კომუნიზმის სულისკვეთებით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მოზარდი თაობის მომზადებას. ჩვენს ქვეყანაში შექმნილია სკოლებისა და უმაღლესი სახსწავლებლების ფართო ქსელი; ხორციელდება საყოველთაო სავალდებულო შვიდწლიანი სწავლება ხსრ კავშირის ხალხთა ენებზე. საბჭოთა სკოლა ახალგაზრდობას აიარაღებს მოწინავე მეცნიერების ცოდნით, ზრდის მას საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით, ამზადებს ლენინ-სტალინის დიადი საქმისათვის მტკიცე და გაბედულ მებრძოლებს. პარტიას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმედ მიაჩნია ახალგაზრდობის სწორი აღზრდა, იმ მხნე ახალი თაობის აღზრდა, რომელსაც სწამს კომუნიზმის საქმე, დაბრკოლებებისა არ ეშინია და მზად არის გადალახოს ყოველგვარი დაბრკოლება.

ლენინიზმი მშრომელთა დიადი ინტერნაციონალური მოძღვრებაა. ლენინიზმი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობისათვის საბჭოთა ხალხის ბრძოლის დროშაა. ლენინიზმი სოციალიზმის გამარჯვებისათვის სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელთა ბრძოლის დროშაა. ლენინიზმი მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბრძოლის დროშაა.

ლენინ-სტალინის იდეებზე იზრდებიან საბჭოთა ხალხი და ყველა ქვეყნის მშრომელნი. ლენინიზმის იდეებით შთაგონებული საბჭოთა კავშირის ხალხები ბოლშევიკების დიადი პარტიის ხელმძღვანელობით, ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით მტკიცედ მიდიან კომუნიზმის გზით.

„პრავდის“ 19/I მოწინავე

„ქალაუფლება საბჭოებს—მშვიდობა ხალხებს“.

მხატვრების დ. ნალბანდიანის, ვ. ბასოვის, ნ. მეშჩანინოვის, ვ. პრიბილევსკის, მ. სუზდალცევის სურათიდან.

მზადება ლენინის დღეებისათვის

★ ★ ★

ექსკურსიები, ლექციები, საუბრები

გორი. (საკ. კორ.). გაცხოველებით მიმდინარეობს მზადება ლენინის დღეებისათვის. საწარმოებში მშენებლობებზე და დაწესებულებებში ეწყობა დიდი ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი ლექციები, მოხსენებები. საკონსერვო ქარხნის კლუბში მეკონსერვეებთან ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ინჟინერმა დიმიტრი სურამელაშვილმა. ქარხნის ბიბლიოთეკაში მოეწყო ლენინის ცხოვრებისადმი მიძღვნილი გამოფენა.

საწარმოებში და მშენებლობებზე ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მომხსენებლებად გამოდიან გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორები.

ლენინის დღეების მოახლოებასთან ერთად დიდად გაიზარდა მომსვლელთა რაოდენობა იმ ისტორიულ სახლში, სადაც დაიბადა და ბავშვობის წლები გაატარა დიდმა სტალინმა. აქ ჩვენი დიდი სამშობლოს მრავალი კუთხიდან მოსული მშრომელები ეცნობიან მასალებს ლენინისა და სტალინის დიადი მეგობრობის შესახებ.

ლენინის დღეებს ფართოდ აღნიშნავენ გორის რაიონის სოფლებშიც. ყველა სოფელსა და კოლმეურნეობაში ეწყობა ლექციები, საუბრები და გამოფენები ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

აქ სწავლობდა ვ. ი. ლენინი

ყაზანი, 17 იანვარი. (საკდესი). ყაზანის უნივერსიტეტში, რომელიც ვ. ი. ულიანოვ-ლენინის დიდ სახელს ატარებს, 2 ათასზე მეტი სტუდენტი აბარებს საზამთრო გამოცდებს.

უნივერსიტეტის წმიდათა-წმიდა ადგილია ის აუდიტორია მთავარი კორპუსის მეორე სართულში, სადაც 1887 წელს იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი ვლადიმერ ულიანოვი ისმენდა რუსეთის სამართლის ისტორიის ლექციებს. ახლა აქ არის ვ. ი. ლენინის აუდიტორია-მუზეუმი, რომელიც გახსნილია საერთო დათვალიერებისათვის. ექსპოზიციებში ასახულია ვ. ი. ლენინის ცხოვრება და რევოლუციური მოღვაწეობა ყაზანში.

ყოველ წელიწადს ათეულ ათასობით ადამიანი მოდის იმისათვის, რომ დათვალიეროს უნივერსიტეტის აუდიტორია და სხვა შენობები, სადაც ახალგაზრდა ილიჩი ყოფილა. ლენინის აუდიტორიის გვერდით მოთავსებულია საალტო დარბაზი, სადაც გაიმართა სტუდენტთა ცნობილი კრება ვლადიმერ ილიას-ძის მონაწილეობით.

ამ უნივერსიტეტის დათვალიერების შესახებ, სადაც ვ. ი. ლენინი სწავლობდა, ბევრი აღფრთოვანებული ჩანაწერი დატოვეს წიგნში მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, სვერდლოვსკიდან, სიმფეროპოლიდან, ოიშკარ-ოლადან და ჩვენი ქვეყნის ბევრი სხვა ქალაქიდან ჩამოსულმა საბჭოთა ადამიანებმა.

ლენინის დღეებში ლენინგრადის ეკრანებზე

მოსკოვის ეკრანებზე უჩვენებენ ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის ვ. ი. ლენინისადმი მიძღვნილ კინოსურათებს.

მოსკოველები კვლავ ნახულობენ მხატვრულ ფილმებს, რომლებიც შევიდნენ საბჭოთა კინოხელოვნების ოქროს ფონდში — „ლენინი ოქტომბერში“, „ლენინი 1918 წელს“, „ფიცი“ და სხვ.

დედაქალაქის კინოთეატრებში ლენინის დღეებში უჩვენებენ დოკუმენტალურ ფილმს „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი“, აგრეთვე მოკლემეტრაჟიან სურათს „კინოდოკუმენტები ვ. ი. ლენინის შესახებ“. როგორც ცნობილია, ამ ფილმებში შეიდა ძვირფასი კინოკადრები, სადაც აღბეჭდილია ვლადიმერ ილიას-ძის სახე სიცოცხლის უკანასკნელ წლებში.

დედაქალაქის ეკრანებზე უჩვენებენ აგრეთვე მოკლემეტრაჟიან ფილმებს, რომლებშიც ასახულია ლენინური ადგილები: რაზლივი, სადაც 1917 წლის ივლის-აგვისტოში ვ. ი. ლენინი იმალებოდა ბურჟუაზიის დევნის გამო; ვ. ი. ლენინის სახლი-მუზეუმი სოფელ შუშენსკოეში და სხვები.

ფილმები ლენინის შესახებ ნაჩვენები იქნება მოსკოვის ყველა კინოთეატრსა და კლუბში. მათი ჩვენება 27 იანვრამდე გაგრძელდება. (საკდესი).

თეზი-ოკამის არხის მშენებლობაზე

წელს რესპუბლიკის სარწყავი სისტემის ქსელს შეემატება თეზი-ოკამის სარწყავი არხი, რომელიც შექმნის პირობებს უხვი მოსავლის მისაღებად, მეცხოველეობის საკვები ბაზის გასაფართოებლად.

ახლა არხის მშენებლობა გადამწყვეტ ფაზაშია. დამთავრებულია რკინაბეტონის აკვედუკები და ათობით მეტრი სიგრძის გვირაბი. ხელოვნური ნაგებობა მაგისტრალურ არხზე საოცზე მეტია. რთული გეოლოგიური და ტოპოგრაფიული პირობები საჭიროდ ხდიან არხის მოპირკეთებას ბეტონით. მშენებელთა მიერ შარშან შესრულებულია 340 ათას კუბმეტრზე მეტი მიწის და 19.500 კუბმეტრი ბეტონის სამუშაო. მშენებლობაზე გამოყენებულია მიწისმთხრელი მექანიზმები: ექსკავატორები, სკრეპერები და ბულდოზერები.

მშენებელ მუშათა შორის ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. სამაგალითოდ მუშაობენ და მაღალნაყოფიერი შრომის ნიმუშებს იძლევიან ბულდოზერზე მომუშავე ბ. ცარაევი, მექექსკავატორე ვ. გაგიშვილი და დიდი ტევადობის თვითდასაცლელ მანქანაზე მომუშავე ტრაქტორისტი ვ. გახუტიშვილი, რომლებიც გამომუშავების ნორმებს 120-140 პროცენტით ასრულებენ. არხის მშენებლებს უნარიანად ხელმძღვანელობენ უბნის უფროსები ინჟინერები ამხ. ო. კაციტაძე, შ. ბოჭორიშვილი და სხვები. განსაკუთრებით ნაყოფიერად იმუშავა მეოთხე უბანმა. აქ ვადაზე ადრე გაკეთდა 11 წყალგამშვები, რკინაბეტონის ხუთი ნიაღვარსაშვები, 9 გამნაწილებელი არხი, 6 ხიდი და სხვ.

1950 წელს სოფელ ლამისყანის კოლმეურნეობის წევრებმა არხის მშენებლობაზე გაგზავნეს თავიანთი მოწინავე კოლმეურნე ამხ. ჩაჩანიძე. წასვლის წინ მან პირობა მისცა თანასოფელებს, რომ ასახელებდა მათ სტახანოვური შრომით. მშენებლობაზე იგი მებეტონეთა ბრიგადაში ჩარიცხეს. ჩაჩანიძე ჩინებულად დაეუფლა მებეტონის პროფესიას და რამდენიმე თვის შემდეგ სათავეში ჩაუდგა ახლად ჩამოყალიბებულ მებეტონეთა ბრიგადას, რომელიც გუშინდელი კოლმეურნეებისაგან შედგებოდა. ამხ. ჩაჩანიძის სახელი ახლა ფართოდ არის ცნობილი არხის მშენებელთა შორის. მისი ბრიგადა გამომუშავების ნორმებს ყოველთვის მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებს.

არხის მშენებლობაში მონაწილეობას კასპელი კოლმეურნეები თავიანთი სახელისა და ღირსების საქმედ თვლიან. კოლმეურნეებმა ბევრი რამ გააკეთეს მშენებლობაზე. სოფელ ოკამის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობიდან არხზე მუდმივ სამუშაოდ არიან მიელინებული ო. ჩიტიშვილი, ვ. ბენიაშვილი, თამაზაშვილი და სხვები, რომლებმაც სახელი გაითქვეს მაგისტრალური არხის დაბეტონებაზე მუშაობით.

არხის მშენებლობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს . სოფელ ნოსტეს გ. საკაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა. მაღალნაყოფიერი შრომით ისახელეს თავი საზიაშვილის, სვანიშვილისა და აფციაურის ბრიგადებმა. მშენებლობაში აქტიურად მონაწილეობენ კავთისხევის, ხოვლეს, სამთავისის, ქვემო გომის, კასპის და სხვა კოლმეურნეობათა წევრები. კომუნისტები მშენებელთა შორის სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორები არიან. ამავე დროს ისინი მშენებელთა შორის ფართო საგიტაციო მუშაობას ეწევიან.

თეზი-ოკამის არხის მშენებლები თავდადებით შრომობენ მათ წინაშე დასახული საპატიო ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის. არხზე მოგზაურავ ყოველი ადამიანი ერთი ფიქრით არის გამსჭვალული — თავისი წვლილი შეიტანოს ქსნის ხეობის მიწების უხვმოსავლიან ბალ-ვენახებად გადაქცევის საქმეში. ამიტომ შრომობენ ისინი ასე თავდადებით, ამიტომ იჩქარიან, რომ არხი უახლოეს დროში გადასცენ საექსპლოატაციოდ.

შ. ჩუბინიძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტში

18 იანვარს გაიმართა ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტის მორიგი პლენარული სხდომა. გრძელდებოდა იმ მუსიკალურ ნაწარმოებთა განხილვა, რომლებიც წარმოდგენილია 1951 წლის სტალინური პრემიების მოსაპოვებლად. მოსმენილ იქნა დიდი ინსტრუმენტალური ნაწარმოებები, რომანსები, სიმღერები. (საკდესი).

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

★

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ხსოვნისათვის

ჩეხოსლოვაკია

პრაღა, 17 იანვარი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის ხალხი სიყვარულით იცავს მთელი მსოფლიოს მშრომელთა გენიალური ბელადისა და მასწავლებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ხსოვნას.

რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირი ეროვნულ ფრონტში შემავალი სხვა ორგანიზაციების ფართო მონაწილეობით აწყობს ლექციებს, მოხსენებებსა და საუბრებს, რომლებიც ამუქებენ ლენინის ცხოვრებასა და რევოლუციურ მოღვაწეობას, საბჭოთა კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში ლენინ-სტალინის მოძღვრების გამარჯვებას. კინოთეატრებში აჩვენებენ ფილმებს, რომლებშიც აღბეჭდილია ლენინისა და სტალინის სახეები. საწარმოებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა და ერთიან სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში იმართება საღამოები, სადაც მხატვრული თვითმოქმედების მონაწილენი ასრულებენ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინისადმი მიძღვნილ მხატვრულ ნაწარმოებებს.

ჩეხოსლოვაკიის ფაბრიკა-ქარხნებში ეწყობა „ლენინური ცვლები“. 18-დან 21 იანვრამდე რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და სოფელში გაიმართება ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილი მშრომელთა საზეიმო-სამგლოვიარო კრებები.

ერთ-ერთი უდიდესი მოვლენა ის იქნება, რომ პრაღაში, ჩეხოსლოვაკიის მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამისად, გაიხსნება ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის მუზეუმი. მუზეუმი გაიხსნება 18 იანვარს იმ სახლში, სადაც 1912 წელს გაიმართა რსდმპ პრაღის კონფერენცია.

ბულგარეთი

სოფია, 17 იანვარი. (საკდესი). ვ. ი. ლენინის გარდაცვალების 28-ე წლისთავთან დაკავშირებით ბულგარეთის ქალაქებსა და სოფლებში ეწყობა მშრომელთა დიდი ბელადის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი კრებები, ლექციები და საღამოები. ბიბლიოთეკა-სამკითხველოებში იმართება ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა გამოფენა.

ლენინის დღეებისათვის აქტიურად ემზადება ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოებათა კავშირი. სოფიაში, პლოვდივში, სტალინში, სლივენსა და ბულგარეთის სხვა უდიდეს სამრეწველო ცენტრებში კავშირის ორგანიზაციები აწყობენ საღამოებს, რომლებზეც ლენინისა და მისი საქმის დიდი განმგრძობის ი. ბ სტალინის შესახებ მოხსენებას აკეთებენ გამოჩენილი პარტიული და საზოგადო მოღვაწეები, მწერლები, მეცნიერები. ლენინის დღეებთან დაკავშირებით ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოებათა კავშირმა დიდი ტირაჟით გამოუშვა ბროშურა „28 წელი ულენინოდ, ლენინის გზით, სტალინის წინამძღოლობით“.

ამ დღეებში სოფიაში გაიხსნება საბჭოთა კავშირში ლენინის იდეების განხორციელებისადმი მიძღვნილი დიდი გამოფენა.

—⊙—

ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა გამოცემა რუმინეთში

ბუქარესტი, 16 იანვარი. (საკდესი). რუმინეთის მშრომელები უდიდეს ინტერესს იჩენენ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ნაწარმოებთა შესწავლისადმი.

მას შემდეგ, რაც საბჭოთა არმიამ გაათავისუფლა რუმინეთი ფაშისტური უღლისაგან, რუმინეთის მუშათა პარტიის გამომცემლობის მიერ გამოშვებული ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა საერთო ტირაჟმა შეადგინა 2.225 ათასი ცალი, აქედან 2.085 ათასი ცალი რუმინულ ენაზე.

მასობრივი ტირაჟით რამდენიმე გამოცემად გამოშვებულია ვ. ი. ლენინის რჩეულ ნაწარმოებთა ორტომეული, რომელშიც შედის: „რა ვაკეთოთ?“, „მემარცხენეობის“ საყმაწვილო სენი კომუნიზმში“, „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“, „სახელმწიფო და რევოლუცია“, „დიადი თაოსნობა“, „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“, „სასურსათო გადასახადის შესახებ“, „კოოპერაციის შესახებ“ და სხვა ნაწარმოებნი.

1951 წელს გამოიცა ვ. ი. ლენინის თხზულებათა 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-20 ტომები, თითეული 100 ათას ცალად. აბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა 21-ე ტომი.

წელს განზრახულია გავრძელდეს ვ. ი. ლენინის თხზულებათა გამოშვება, აგრეთვე ხელახლა გამოიცეს წიგნები „მემარცხენეობის“ საყმაწვილო სენი კომუნიზმში“, „რა ვაკეთოთ?“ და სხვები.

—⊙—

ახალი სახეობის სამრეწველო პროდუქციის გამოშვება უნგრეთში

ბუდაპეშტი, 16 იანვარი. (საკდესი). უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მრეწველობა ეუფლება ახალი სახეობის პროდუქციის წარმოებას, რომელიც წინათ უნგრეთში არ მზადდებოდა.

შარშან სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელმა ქარხანამ „ემაგამ“ დაიწყო კომბაინების დაძაბადება. ათვისებულია აგრეთვე მძლავრი მუხლუხა ტრაქტორებს, ახალი ტიპის სამგზავრო ორთქლმავლების, საყელავი მანქანების, ახალი ავტობუსების გამოშვება და სხვ.

წელს ათვისებულ იქნება 1.000-1.200 მეტრ სიღრმეზე საბურღავი მოწყობილობის, თვითგანმტკიცებადი ავტომანქანებისა და შემდეგებელი ტრანსფორმატორების გამოშვება. ქარხანა „ბამერტუში“ დამზადდება შახტების სატვირთავი მანქანები.

ახალი მოწყობილობისა და მანქანების წარმოებისათვის საჭირო კადრების მოსამზადებლად საწარმოებში და სასწავლებლებთან იქმნება კურსების ქსელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად

ახალი სამეურნეო წლის პირველი დღიდანვე ზესტაფონის ბერიას სახელობის ფეროშენადნობთა ქარხნის ელექტროდების საამქროში მეტი ენერგიით გაჩაღდა მუშაობა. იანვრის პირველი ნახევრის გეგმა შესრულებულია 137 პროცენტით. დიდ წარმატებას აღწევს ელექტროდების მასის გამომშვები ბრიგადა, რომელსაც გ. ყორეოლიანი ხელმძღვანელობს. უკანასკნელი 6 თვის მანძილზე ეს ბრიგადა ზედიზედ ინარჩუნებს საამქროს გარდამავალ წითელ დროშას. იანვარში ბრიგადა საწარმოო დავალებას ყოველდღიურად 125-130 პროცენტით ასრულებს. მაღალნაყოფიერად მუშაობს აგრეთვე ელექტროდების მასის გამომშვები ის ბრიგადა, რომელსაც ვ. მანჯავიძე ხელმძღვანელობს. სახელოვანი სტახანოველები დ. ბოგვერაძე, ფ. ამილახვარი, ვ. ნებიერიძე და სხვები ელექტროდების მასის გამოშვების საუკეთესო ნიმუშებს იძლევიან.

თაედადებულად შრომობს ანტრაციტის გამომწველი ბრიგადა. ამ ბრიგადის მოწინავე მუშები მ. ღვინჯილია, ს. მაჭავარიანი, პ. სტეპანიუკი, კ. ხუციშვილი და ს. სხილაძე დიდი გადაჭარბებით ასრულებენ ნორმებს. ანტრაციტის დამფქველი დ. ჩუბინიძე და ფისის მხარშველები ა. ნიკაბაძე და ვ. ცქიტიშვილი მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევენ.

საამქროს კოლექტივის წარმატება მნიშვნელოვანწილად იმით აიხსნება, რომ საამქროს უფროსის მოადგილეები მ. დემიანენკო (მექანიკურ ნაწილში) და კ. ჯუღელი (ელექტრონაწილში) უნარიანი ხელმძღვანელობით უზრუნველყოფენ მანქანა-დანადგარებისა და ელექტრომოწყობილობის სანიმუშო და შეუფერხებელ მუშაობას.

ამჟამად საამქროს კოლექტივი იმისათვის იბრძვის, რომ 6 დღით ადრე შეასრულოს იანვრის გეგმა, 2 პროცენტით გაზარდოს შრომის ნაყოფიერება და სულ ცოტა 15 პროცენტით შეამციროს ელექტროენერგიის ხარჯვა.

ინჟინერი გ. ხუციშვილი
ფეროშენადნობთა ქარხნის ელექტროდების საამქროს უფროსი

აშენებენ საყოფაცხოვრებო კომბინატს

ტყიბული. (საკ. კორ.). ტყიბულის ცენტრალურ უბანში დაიწყო და მიმდინარე წლის ბოლოს დამთავრდება საყოფაცხოვრებო კომბინატის მშენებლობა. კომბინატს ექნება კეთილმოწყობილი აბანო, სპარიკმახერო, ფოტოგრაფიის პავილიონი, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის სამკერვალო სახელოსნო, აგრეთვე ნახმარი ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და საათების შესაკეთებელი სახელოსნოები.

მშენებლობას ხელმძღვანელობს ტყიბულის შახტმშენებლობის ტრესტი.

თბილისი. ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს სამსხმელო საამქროს სტახანოველები (მარცხნიდან მარჯვნივ) ნ. ალეინიკოვი, ხ. გეორგიზოვი და შ. გატელაშვილი ხაშეფო მტს-ისათვის ამზადებენ ტრაქტორის კრონშტეინებს.

საწარმოთა შეფობა მანქანა-ტრაქტორთა სადგურებზე

ზრამვაი-ზროლეიბუსის სამმართველოს კოლექტივის დახმარება

თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს კოლექტივმა გასული წლის დეკემბერში შეფობა აიღო თბილისის გარეუბნის რაიონის დიღმის, მარტყოფის და თელეთის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებზე და იკისრა წარმოების ნარჩენებიდან სხვადასხვა ინსტრუმენტის დამზადებით, ადგილზე კვალიფიციური სპეციალისტებისა და მუშების მივლინებით საქმიანი დახმარება გაეწია მათთვის. აღნიშნულ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში მივლინებულ იქნენ სამმართველოს მთავარი ინჟინერი ა. ქაჯაია და ვაგონშემკეთებელი სახელოსნოს მთავარი ინჟინერი გ. როხვაძე, რომლებმაც დაწვრილებით შეისწავლეს, თუ რა სახის დახმარება ესაჭიროებოდათ მტს-ებს იარაღ-მანქანების რემონტის დაჩქარებისათვის.

ამას წინათ მტს-ებს გადაეცათ 3.000 კილოგრამი მრგვალი და ფურცლოვანი რკინა. სამჭედლო საამქრომ დიღმის მტს-ს შეუკეთა პნევმატური ურო. თელეთის მტს-ში 15 დღის განმავლობაში მუშაობდნენ ხარატი ილია ტელებენკო და ელექტროშემდუღებელი გიორგი ძეგველაშვილი. მათ ადგილზე შეაკეთეს გუთნის ღერძები, ტრაქტორის კაბინები, კომბაინის ბუნკერები, აგრეთვე ბევრი სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღი. შემოწმებულ და გადაკეთებულ იქნა ელექტროშემდუღებელი აპარატის მკვებავი ხაზი 380 ვოლტიდან 220 ვოლტზე. ამჟამად ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს კოლექტივი სამივე მტს-ს უმზადებს კულტივატორების თათების დამკერებს 300 კომპლექტის რაოდენობით. დღეისათვის ამ შეკვეთიდან შესრულებულია და მანქანა-ტრაქტორების სადგურებს ჩაბარდა 50 კომპლექტი, ხოლო დანარჩენის დამზადება დაკვრითი წესით მიმდინარეობს.

საწარმოს კოლექტივმა ვალდებულება იკისრა უახლოეს დროში დიღმის და მარტყოფის მტს-ებისათვის დაამონტაჟოს სამტონიანი ამწეები, რისთვისაც შექმნილია და უკვე მუშაობას შეუდგა მექანიკოსთა ბრიგადა, რომელსაც დამხმარე საამქროს უფროსი შოთა მწყერაძე ხელმძღვანელობს.

ამ დღეებში შედგა ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს პირველადი პარტიული ორგანიზაციის ღია კრება საშეფო მტს-ების მუშაკებთან ერთად. პარტიულმა კრებამ მოისმინა ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს უფროსის ამხ. გ. სიხარულიძის მოხსენება დიღმის, თელეთისა და მარტყოფის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისათვის გაწეული დახმარების შესახებ და დასახა ღონისძიება მომავალში მუშაობის კიდევ უფრო გასაუმჯობესებლად.

შეაკეთეს დაზგა, დაამზადეს სათადარიგო ნაწილები

ჯერ კიდევ დეკემბერში თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის კოლექტივის აწყობ საამქროში შეიქმნა სპეციალური ბრიგადა საშეფო ორგანიზაციის — დუშეთის მანქანა-ტრაქტორთა სადგურისათვის დახმარების გასაწევად. აღნიშნული ბრიგადა ენერგიულად მუშაობდა მტს-ის სახარატო-ჭანჭიკსაჭრელი დაზგის კაპიტალურ რემონტზე. ეს დაზგა ამ დღეებში გაეგზავნება საშეფო ორგანიზაციას. საწარმომ უკვე გაუგზავნა მტს-ს სარემონტო სამუშაოებისათვის 34 კომპლექტი სათადარიგო ნაწილები. ამჟამად გასაგზავნად მზად არის კომბაინებისა და ტრაქტორების რემონტისათვის საჭირო რამდენიმე ასეული ჭანჭიკი, ქანჩი, სხვადასხვა სახის ინსტრუმენტები და 1.100 კილოგრამი სხვადასხვა ზომის რკინა.

ქარხნის ბიბლიოთეკიდან მტს-ის ტექნიკურ ბიბლიოთეკას გამოუყვეს სამასი მანეთის ტექნიკური ლიტერატურა. საწარმოს კოლექტივმა ვალდებულება იკისრა უახლოეს ხანში მომზადოს დუშეთის მტს-სისათვის ორი სპეციალისტი.

საქართველოს პროფსაბჭოში

მშრომელთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისათვის

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან ერთად შეამოწმა თბილისის ზოგიერთ საწარმოში, აგრეთვე ქუთაისისა და გორის საკონსერვო ქარხნებში მუშა-მოსამსახურეთა სამედიცინო მომსახურების მდგომარეობა.

გამოირკვა, რომ 13 შემოწმებული საწარმოდან ათ საწარმოში ვერ იცავენ ლიმიტით გათვალისწინებულ არაშრომისუნარიანობის ნორმებს.

ავჭალის შუშისა და ფოლად-თუჯის სამსხმელო ქარხნებში არაშრომისუნარიანი დღეების ზრდას ნაწილობრივ ხელს უწყობს ავჭალაში საავადმყოფოსა და პოლიკლინიკაში ფიზიო და რენტგენის კაბინეტების, აგრეთვე ლაბორატორიის უქონლობა.

ზოგან დაავადებათა ანალიზებს ფორმალურად ადგენენ, ხშირია ბიულეტენების უკანონოდ გაცემის შემთხვევები.

გაერთიანებებისა და პოლიკლინიკების მთავარი ექიმები სუსტად ხელმძღვანელობენ ჯანმრთელობის პუნქტების მუშაობას.

პროფკავშირთა საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტები საჭირო ყურადღებას არ აქცევენ შრომისა და უმშრომლების ტექნიკის დაცვის საკითხებს.

მშრომელთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა საჭიროდ ცნო, რომ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ უახლოეს დროში მიიღოს გადამჭრელი ზომები სამკურნალო დაწესებულებების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და საწარმოებში მუშა-მოსამსახურეების დაავადებათა შემცირებისათვის, პასუხისგებაში მისცეს ბიულეტენების უკანონოდ გაცემაში დამნაშავე პირები, მტკიცე წესრიგი დამყაროს ბიულეტენების გაცემასა და გაფორმებაში, აამაღლოს ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა სამრეწველო საწარმოების მუშა-მოსამსახურეთა სამედიცინო მომსახურების მდგომარეობისათვის.

ავჭალაში განლაგებული სამრეწველო საწარმოების მუშა-მოსამსახურეთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისათვის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ ავჭალის პოლიკლინიკაში უნდა მოაწყოს კლინიკურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორია, ფიზიო და რენტგენის დანადგარი, ხოლო სასოფლო საავადმყოფოში გახსნას ბავშვთა განყოფილება, განამტკიცოს პოლიკლინიკა უფრო კვალიფიციური სპეციალისტი ექიმებით.

პროფკავშირების რესპუბლიკურ და სამრეწველო საწარმოთა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებს დაევალათ დროებითი არაშრომისუნარიანობის აღრიცხვის საფუძველზე ყოველთვიურად აწარმოონ დაავადებათა და ტრავმატიზმის ანალიზი, დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი მათი შემცირებისათვის. უზრუნველყონ კონტროლი სამკურნალო დაწესებულებების მუშაობისადმი. მიიღწიონ ჯანმრთელობის პუნქტების მუშაობის გაუმჯობესებას.

ჩვენ გვწერენ

მუშა-გამომგონებლებს ყურადღებას არ გვაქცევენ

1949 წელს თბილისის საელმავლო დეპოში ძველი სამჭედლო ქურების შეცვლის საკითხი დაისვა. საჭირო იყო ისეთი ქურების აგება, რომლებიც ქვანახშირით იმუშავებდნენ. მჭედელ გ. ცვეტოვთან ერთად შეიმუშავე ასეთი ქურის კონსტრუქცია. დეპოს უფროს ამხ. მ. თოიძის ხელმძღვანელობით მოკლე ხანში ქურაც ავაშენეთ.

მას შემდეგ ჩვენი ქურა ნაყოფიერად მუშაობს. მან საუკეთესო საექსპლოატაციო თვისებები გამოავლინა. დღემდე გამოყენებულ ქურებთან შედარებით იგი მარტივი კონსტრუქციისაა, გაცილებით იაფი ჯდება, სამუშაოდ უფრო მოხერხებულია, მეტ ტემპერატურას ავითარებს და ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ურემონტოდ მუშაობს.

შემდეგში ავჭალის ლოკომოტივსარემონტო ქარხანაში მიგვიწვიეს და იქ კიდევ 2 ასეთი ქურა ავაგეთ.

ამიერკავკასიის რკინიგზის ელექტროფიკაციის სამსახურის ტექნიკური განყოფილება და აგრეთვე გზის გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ბიურო დაგვპირდნენ, რომ ჩვენი გამოგონების განხილვისა და მისი წარმოებაში მასობრივად დანერგვის მიზნით კომისიას გამოყოფდა.

ეს იყო 1950 წელს. მას შემდეგ წელიწადზე მეტი გავიდა, მაგრამ კომისია დღემდე არ გამოუყვიათ და ჩვენი გამოგონებაც დავიწყებას მიეცა. ჩვენი ქურის სხვა საწარმოებში გავრცელებისთვისაც, ცხადია, არავის უზრუნია.

რით აიხსნება მუშა-გამომგონებლების მიმართ ასეთი უყურადღებობა?

ნ. ნათაძე
თბილისის საელმავლო დეპოს საამქროს ოსტატი

რაზომ არ სრულდება დაპირება?

— გვაპატიეთ, ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ზიანი არ მოგაყენოთ, სამაგალითო მეზობლები ვიქნებით, სანიმუშოდ მოეაწყობთ ჩვენს ეზოსა და მისასვლელებს.

ასე დაპირდნენ ხოშტარიას ქუჩაზე მრავალსართულიანი სახლის მშენებლები გ. ჯაფარიძე, კ. სანაძე, ი. ძებისაშვილი, მ. ბარაბაძე, ს. ზაალიშვილი, ქ. და მ. გიორგაძეები მეზობლებს იმავე ქუჩაზე № 1-ბ და № 2 სახლებსა და მოსკოვის ქუჩის № 23 და № 25 სახლებში მცხოვრებთ.

მშენებლობა გაჩაღდა. წლის ბოლოს 4-სართულიანი სახლი აღიმართა, მშენებლები ფართო და ნათელ ბინებში ჩასახლდნენ. ეს იყო 1937 წელს.

მაგრამ რა დააშავეს მეზობლებმა? ხოშტარიას ქუჩა № 1-ბ და № 2 სახლების მისასვლელთან ქვაფენილი დღესაც აყრილია, თიწა ორად მოთხრილია, ეზოებში სატრანსპორტო გზა გაუქმებულია. უარესად მოეპყრენ მოსკოვის ქუჩის № 23 და № 25 სახლებში ცხოვრებ მეზობლებს, რომელთა ეზოს საზღვართან საყრდენი კედელი უხარისხოდ გააკეთეს და ძალე დაინგრა. ამის გამო ეზო ჩამორეცხილი მიწითა და ნაგვით ბინძურდება, სახლების სარდაფები წყლით ივსება.

შეწუხებულმა მეზობლებმა თბილისის ორჯონიკიძის რაისაბჭოს აღმასკომს და მილიციის მე-17 განყოფილებას მიმართეს, დაზიანებული ქუჩის აღდგენა მოითხოვეს. მშენებლებმა ჯაფარიძემ, გიორგაძემ, სანაძემ და სხვებმა კვლავ პირობა დადეს — საქმეს მოვაგვარებთო. მაგრამ დაპირება ისევ დავიწყებას მისცეს.

თბილისის ორჯონიკიძის რაისაბჭოს აღმასკომმა საჭირო ზომები უნდა მიიღოს აღნიშნულ ქუჩაზე ნორმალური პირობების აღდგენისათვის.

გ. ბეგუჩაძე

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„როდესაც მშრომელთა სიგნალებს დროულად არ ეხმაურებიან“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 23 დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა წერილი, რომელიც ეხებოდა სამტრედიის რაიონის ზოგიერთ ორგანიზაციასა და დაწესებულებაში არსებულ ნაკლოვანებებსა და დანაშაულებრივ მოქმედებას.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომის მდივანმა ამხ. მ. ნიშნიანიძემ რედაქციას აცნობა:

პარტიის სამტრედიის რაიკომის ბიურომ 11 იანვარს განიხილა წერილში მოხსენებული ფაქტების შემოწმების შედეგები. სოფელ ოქტომბრის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვლადიმერ ვაშაკიძე მთელ რიგ დანაშაულებათა გამო გარიცხა პარტიის რიგებიდან, მისცა სასამართლო პასუხისგებაში და ამავე კოლმეურნეობის წევრებს რჩევა მისცა მოხსნას იგი კოლმეურნეობის თავმჯდომარეობიდან; დამზადების სამინისტროს რწმუნებულის სამტრედიის რაიონში რაჟდენ პავლეს-ძე ტორონჯაძის საქმეზე არსებული მასალები სათანადო ზომების მისაღებად გადაეგზავნა ზემდგომ ხელმძღვანელ ორგანოს; რაიაბრეშუმის კანტორის მუშაკების მიერ ჩადენილ უმსგავსობათა გამო მოიხსნა სამუშაოდან რაიაბრეშუმის კანტორის გამგე ი. გიორგობიანი და დაედო პარტიული სასჯელი; სამუშაოდან მოიხსნა რაიაბრეშუმის კანტორის აგრონომი ნინო პაპავა და დაედო პარტიული სასჯელი; რაიაბრეშუმის ცენტრალური ფარდულის გამგე ნიკოლოზ ფახურიძე მოიხსნა სამუშაოდან, პირველადი პარტორგანიზაციის მდივნობიდან და მიეცემულ იქნა პასუხისგებაში; რაიაბრეშუმის კანტორის უფროს აგრონომს ამხ. ალექსანდრა გელაზონიას დაედო პარტიული სასჯელი.

მარქსისტული ფილოსოფიის გენიალური ნაწარმოები

1.

წიგნები, რომლებშიც დიადი იდეებია ჩაქსოვილი, საუკუნეთა მანძილზე ცოცხლობენ და არ კვდებიან. ასეთი წიგნთა რიცხვს მიეკუთვნება ვ. ი. ლენინის გენიალური ნაწარმოები „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“, რომელიც თხზულებათა მე-14 ტომში შედის. 40 წელზე მეტი ხანია, რაც ეს ნაშრომი გამოქვეყნდა, მაგრამ მისი დიადი ძალა და მნიშვნელობა არათუ არ შემცირებულა, არამედ უფრო გაიზარდა.

ვ. ლენინის გენიალური ნაშრომი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ წარმოადგენს პროლეტარიატის საარსებო ინტერესებთან ფილოსოფიის საკითხების დაკავშირების ნიმუშს. ამ წიგნში მთელი ძალით იგრძნობა მუშათა კლასის თეორიული ბრძოლის იარაღის — დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის უდიდესი მნიშვნელობა მშრომელი მასების განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

თავის გენიალურ ნაშრომში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ ლენინმა გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა რეაქციის წლებში მოდაში შემოსულ ბურჟუაზიულ, იდეალისტურ ფილოსოფიურ მიმართულებას — ემპირიოკრიტიციზმს და დაიცვა და განავითარა ბოლშევიკური პარტიის თეორიული საფუძვლები, წინ წასწია მარქსისტული ფილოსოფია, ამასთან ერთად მიუთითა ბუნებისმეტყველების განვითარების გზებზე. „მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში“ მოცემული შეცნიერული წინასწარმეტყველებანი სავსებით დაადასტურა თანამედროვე ბუნებისმეტყველების ახალმა აღმოჩენებმა. ლენინის გენიალური აზრების ყველაზე უფრო ნათელ დადასტურებას, მის წიგნში ჩამოყალიბებული თეორიული შეხედულებების ტრიუმფს წარმოადგენს ჩვენს ქვეყანაში მარქსისტულ-ლენინური თეორიის გამარჯვება, სოციალიზმის აშენება, სოციალიზმისა და დემოკრატიის ძალაზე ევროპისა და აზიის მთელი რიგი ქვეყნების გადასვლა, იმპერიალისტური ომის მომხრეთა წინააღმდეგ მშვიდობის ფრონტის შეუჩერებელი ზრდა.

ლენინის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ 1909 წლის მაისში გამოქვეყნდა. იგი ექვსი თავისაგან შედგება. წიგნის პირველ სამ თავში დაპირისპირებულია დიალექტიკური მატერიალიზმის შემეცნების თეორია ემპირიოკრიტიციზმთან; მეოთხე თავში გაკრიტიკებული არიან ფილოსოფიური იდეალისტები, როგორც ემპირიოკრიტიციზმის თანამოლაშქრენი და მემკვიდრენი, მეხუთე თავში განხილულია უახლოესი რევოლუცია ბუნებისმეტყველებაში და ფილოსოფიური იდეალიზმი. წიგნის მეექვსე თავში დაპირისპირებულია ემპირიოკრიტიციზმი და ისტორიული მატერიალიზმი. ყველა ამ თავებს წინ უძღვის საერთო შესავალი, რომელშიც ლენინი იძლევა მეთვრამეტე საუკუნის ინგლისელი ფილოსოფოსების ბერკლისა და ჰიუმის შეხედულებათა კრიტიკას.

ლენინი თავის გენიალურ ფილოსოფიურ თხზულებაში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ გამანადგურებელ ლახვარს სცემს პროლეტარიატის იდეური მტრების ფილოსოფიურ ნათხზავს, გვიჩვენებს მახისტების გნოსეოლოგიურ და სოციოლოგიურ შეხედულებათა სიყალბეს, რეაქციულობას, იდეალისტურ შარლატანობას. მახისტების შემეცნების თეორიის კრიტიკასთან ერთად ლენინის ნაწარმოები შეიცავს დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის ძირითადი პრინციპების არა მარტო დალაგებას, არამედ ახალ ამოცანებთან დაკავშირებით მარქსისტული ფილოსოფიის შემოქმედებითად გაღრმავებასა და განვითარებას.

რუსი მახისტები — ბოგდანოვი, ლუნაჩარსკი, ვალენტინოვი, ბაზაროვი, იუშკევიჩი და სხვები, ისე როგორც მათი ევროპელი მასწავლებლები ნახი და ავენარიუსი — ბერკლისა და ჰიუმის სუბიექტურ-იდეალისტური შეხედულებებიდან გამოდიოდნენ. ამიტომ, ლენინმა თავის გენიალურ ნაშრომში ჯერ ბერკლის შეხედულებათა მცდარობა გამოამჟღავნა, ხოლო შემდეგ ამ აზრების მატარებელი ევროპელი და რუსი მახისტების გამანადგურებელი კრიტიკა მოგვცა.

მახისტები ბერკლის მსგავსად უარყოფენ ადამიანის ცნობიერებისაგან, შეგრძნებისაგან დამოუკიდებელ ობიექტურ რეალობას. მახიზმის თანახმად საგნები და მოვლენები არსებობენ როგორც შეგრძნებათა კომპლექსები, შეგრძნებათა ელემენტები, მახისტებს სამყაროს ობიექტური კანონზომიერება სუბიექტამდე დაჰყავთ, სუბიექტის ნაწარმოებად მიაჩნიათ. ასეთი იყო მახის, ავენარიუსისა და მათი რუსი მოწაფეების — ბოგდანოვის, ბაზაროვის, იუშკევიჩის, ვალენტინოვის და სხვათა ზოგადფილოსოფიური შეხედულებანი. მათ შორის მხოლოდ სიტყვიერი, ტერმინოლოგიური განსხვავებაა. ლენინმა გვიჩვენა, რომ „შეგრძნებათა კომბინაციები“, „შეგრძნებათა კომპლექსები“, „სამყაროს ელემენტები“, „პრინციპული კოორდინაცია“, „კოლექტიური შეგრძნება“—ყოველივე ეს მახისტების მხოლოდ ახალი ტერმინებია, რომელთა ნამდვილ შინაარსს წარმოადგენს ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში ცნობილი ეპისკოპოს ჯორჯ ბერკლის სუბიექტური იდეალიზმი. „ადამიანი ბრმა უნდა იყოს,—წერს ლენინი, — რომ ერთი და იგივე იდეალისტური აზრი ვერ დაინახოს ამ სხვადასხვა სიტყვიერ სამკაულში“ (გვ. 286).

ლენინმა თავის ნაწარმოებში მეცნიერების, კერძოდ ბუნებისმეტყველების მონაპოვრების საფუძველზე გვიჩვენა როგორც ბერკლიანობის, ისე მახიზმის შეხედულებათა ანტიმეცნიერულობა და დაასკვნა, რომ „ჩვენი მახისტები ყველანი იდეალიზმში ჩაეფლნენ“.

2.

რუს მახისტებს პირველ რიგში იერიშები მარქსიზმის გნოსეოლოგიური საფუძვლების წინააღმდეგ მიჰქონდათ. მათ შემეცნების თეორიის საკითხებიდან დაიწყეს მარქსისტული ფილოსოფიის წინააღმდეგ ბრძოლა. ამ გარემოებით აიხსნება, რომ ლენინმა საჭიროდ ცნო დაბრუნებოდა ფილოსოფიის ძირითად საკითხს, დაეპირისპირებინა მატერიალისტური (დემოკრიტეს) ხაზი იდეალისტური (პლატონის) ხაზისათვის. აღნიშნული საკითხის გარკვევის დროს ლენინმა თავის ნაშრომში ბრწყინვალედ დაასაბუთა მარქსისტული მატერიალისტური თეორიის სიმართლე და სიძლიერე; ნათლად გვიჩვენა, თუ რამდენად არამეცნიერულია, ყალბია იდეალიზმი, მახიზმი, რომელსაც აზროვნება, სული, შეგრძნება მიაჩნია პირველადად, ხოლო მატერია, ბუნება მეორადად, და რამდენად მეცნიერული და ჭეშმარიტია მარქსისტული მატერიალისტური მსოფლმხედველობა, რომელიც მატერიას თვლის პირველადად, ხოლო აზროვნებას, შეგრძნებას მეორადად, მაღალორგანიზებული მატერიის უმაღლეს ფორმად, ტვინის პროდუქტად. მატერიალიზმის ამ ურყევ დებულებას მეცნიერულად ასაბუთებს აგრეთვე დიდი რუსი ფიზიოლოგის პავლოვის მოძღვრება, რომელიც გამანადგურებელ ლახვარს სცემს იდეალისტური ფილოსოფიის გნოსეოლოგიურ საფუძვლებს.

მახისტების წინააღმდეგ ბრძოლაში ლენინმა ახალი ეტაპი შექმნა მარქსისტული შემეცნების თეორიის განვითარებაში. ის ახალი, რაც მის მიერ ამ დარგში იქნა განვითარებული, ცნობილია ასახვის ლენინური თეორიის სახით. ასახვის ლენინური თეორიის გამოსავალ პუნქტს ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებული ობიექტური რეალობის აღიარება წარმოადგენს. ამავე დროს ასახვის თეორია გვასწავლის, რომ ცნობიერება, აზროვნება, შეგნება ობიექტური სინამდვილისადმი პასიური დამოკიდებულებაში კი არ იმყოფება, არამედ აქტიურ ზემოქმედებას ახდენს მასზე. მართალია, აზროვნება მატერიის განვითარების პროდუქტია, მაგრამ ცნობიერებას უნარი შესწევს არა მარტო შეიცნოს მატერია, სამყარო, არამედ გარდაქმნას იგი. რაც შეეხება თვით ცნობიერებას, რა თქმა უნდა, იგი გამომდინარეობს მატერიალური სინამდვილიდან. მაშასადამე, ასახვა უცხო არ არის მატერიის ბუნებისათვის. ლენინი გვასწავლის, რომ იდეალური და მატერიალური ონტოლოგიურად არ უპირისპირდებიან ერთმანეთს. ისინი, როგორც ამხანაგი სტალინი გვასწავლის, სინამდვილის ორი სხვადასხვა ფორმაა. აზროვნება და მატერია მხოლოდ გნოსეოლოგიურად უპირისპირდებიან ერთმანეთს, იმდენად, რამდენადაც ასახვის პროცესში ჩვენ გამოვდიგართ მატერიის პირველადობისა და აზროვნების მეორადობის ფაქტიდან. სწორედ ამ მხრივ უპირისპირდება მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმი როგორც იდეალიზმს, რომელიც აზროვნებას, იდეას აღიარებს პირველადად, ისე დუალიზმს, რომელიც აზროვნებასა და მატერიას ერთმანეთისაგან აბსოლუტურად თიშავს და მათ შორის გარდუვალ ზღუდეს აღმართავს. მარქსისტული მატერიალიზმი უპირისპირდება აგრეთვე ვულგარულ მატერიალიზმს, რომელიც აზროვნებასა და მატერიას შორის ყოველგვარ საზღვარს შლის და მათ ერთმანეთთან აბსოლუტურად აიგივებს. მარქსისტული მატერიალიზმი თავის ფილოსოფიურ დასკვნებში ბუნებისმეტყველების მეცნიერულ მონაცემებს ემყარება. „მატერიალიზმი,—წერს ლენინი, — სრულიად ეთანხმება ბუნებისმეტყველებას და პირველადად მოცემულად მატერიას თვლის, ხოლო მეორადად — ცნობიერებას, აზროვნებას, შეგრძნებას...“ (გვ. 43).

ასახვის ლენინური თეორიის ქვაკუთხედს შეადგენს დებულება ცოცხალი განჭვრეტიდან აბსტრაქტული აზროვნებისაკენ, აქედან კი პრაქტიკისაკენ.

შეგრძნება მაღალორგანიზებული მატერიის თვისებაა. ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ პირველ ცოცხალ არსებას არავითარი შეგრძნება არ მოეპოვებოდა, მას მხოლოდ გაღიზიანებას უნარი ჰქონდა და ახლდა შეგრძნების ჩანასახები. მაშასადამე, ცოცხალი ორგანიზმების განვითარების შედეგად თანდათან ჩამოყალიბდა შეგრძნება და საერთოდ ცნობიერება. ადამიანის ხუთი გრძნობა,—ამბობდა მარქსი, — კაცობრიობის მსოფლიო-ისტორიული განვითარების შედეგია.

შეგრძნება ლენინის განმარტებით არის გარეგან გაღიზიანებათა გადაქცევა ცნობიერების ფაქტად, ობიექტური სამყაროს სუბიექტური სახე. გრძნობადი აღქმის საშუალებით ადამიანი უშუალოდ უკავშირდება გარეგან სამყაროს საგნებსა და მოვლენებს, შეიცნობს მათ თვისებებს, მხარეებს, გარეგან ზოგად კავშირებს, გრძნობის ორგანოებზე ობიექტური სინამდვილის მოქმედების შედეგად ტვინში იქმნება გარკვეული წარმოდგენები თვით მატერიალური სინამდვილის შესახებ. მაგრამ მარტო შეგრძნების სფერო არ არის საკმარისი სინამდვილის სრული, ღრმა და ყოველმხრივი ასახვისათვის. ცოცხალი განჭვრეტა, ანუ შეგრძნება შემეცნების პირველი საფეხურია. „ცოცხალი თეორიიდან გადადგომა ნიშნავს ობიექტური ჭეშმარიტებისაკენ“ (გვ. 136). ამ ეტაპზე ადამიანი ეცნობა საგნებისა და მოვლენების ერთ-ერთ მხარეს, ერთ-ერთ ფერს, ერთ-ერთ ბგერას, ერთ-ერთ ბურცოს, ერთ-ერთ ფიცარს, ერთ-ერთ ფეხს, ერთ-ერთ ფანჯარას, ერთ-ერთ ფანჯრის ფერადაბინდულ მინას, ერთ-ერთ ბინდ-ბუნდ ... ეს ... ეს ... ეს

მეცნიერების მიღწევები ჩაისა და სიგრუსების მოსავლიანობის ზრდის საქმეში

სერიოზულ მუშაობას ეწევა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის. ინსტიტუტი კარგა ხანია სწავლობს სიდერაციის ეფექტიანობას ჩაის მოსავლიანობის გადიდებაზე. ამ მიზნით აქ საცდელად აღებული იყო ჩაის ორწლიანი პლანტაცია. ამ ნაკვეთზე დააყენეს ცდები მინერალურ სასუქებთან ერთად სიდერაციის ეფექტიანობის დასადგენად. 12 წლის მანძილზე მოწყობილმა ცდებმა ნათელყო, რომ მინერალურ სასუქებთან ერთად სიდერატების გამოყენებით ჩაის მოსავლიანობა მარტო მინერალური სასუქებით განოყიერებულ ნაკვეთებთან შედარებით საშუალოდ წელიწადში 23 პროცენტით იზრდება.

იმ საცდელ ნაკვეთზე, რომელზეც მარტო მინერალური სასუქი შეჰქონდათ, საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს წელიწადში 3.069 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, იმ ნაკვეთმა კი, რომელზეც მინერალურ სასუქებთან ერთად პირველი 4 წლის განმავლობაში სიდერატების მწვანე მასა შეიტანეს, — 3.750 კილოგრამი. სულ 12 წლის მანძილზე მწვანე სასუქის გამოყენებით მიღებულია 8.172 კილოგრამით მეტი ჩაის ფოთოლი, ვიდრე მარტო მინერალური სასუქებით განოყიერებულზე.

ინსტიტუტი 1950 წლიდან მუშაობს 13-წლიან ჩაის პლანტაციაში ყველა სახის სასუქების — მინერალურისა და ორგანულის (ნაკელის, სიდერატების და სხვათა) შედეგიანობის შესასწავლად. ჩვეულებრივ აგროტექნიკურ ღონისძიებებთან შედარებით ამ ღონისძიებამ მოსავლიანობა 25-მდე პროცენტით გაზარდა. მაგალითად, 1950 წელს საცდელ ნაკვეთზე უსასუქოდ მიღებულია 5.900 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ასეთსავე მეორე ნაკვეთზე მინერალური სასუქების, ნაკელის, ნაკელწყლისა და სიდერატების გამოყენებით კი — 7.100 კილოგრამი, ხოლო 1951 წელს პირველ შემთხვევაში — 9.263 კილოგრამი, მეორე შემთხვევაში — 11.619 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. აღსანიშნავია, რომ ცდის დაყენებამდე (1949 წელს) ამ პლანტაციაზე საშუალოდ ჰექტარზე მხოლოდ 3.019 კილოგრამი ჩაის ფოთოლი იქნა აღებული.

ცდებმა გვიჩვენა, რომ 10 წელზე უხნეს პლანტაციებში ჰექტარზე საშუალოდ წელიწადში 500 კილოგრამი კალიუმის მარილის, 2.500 კილოგრამი სუპერფოსფატის, ხოლო მათთან ერთად 1.500 კილოგრამი გოგირდმჟავა ამონიუმის გამოყენების შემთხვევაში მიიღება 9.260 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, 2.500 კილოგრამის გამოყენების შემთხვევაში — 9.845 კილოგრამი, ხოლო 3.500 კილოგრამის გამოყენებისას — 10.062 კილოგრამი.

ინსტიტუტი სერიოზულ მუშაობას ეწევა დიდი რუსი მეცნიერების დოკუჩაევის, კოსტიჩევის და ვილიამსის მიერ დამუშავებული ნათესბალახიანი სისტემის სუბტროპიკულ მეურნეობაში დასანერგავად. ამ მიზნით მოეწყო ცდები ყველაზე პერსპექტიული ძრავალწლიანი საკვები ბალახების შერჩევისა და მათი განვითარებისათვის ნორმალურ აგროტექნიკურ ღონისძიებათა გამოძუშავებისათვის. სამი წლის მანძილზე ჩატარებული მუშაობით დამტკიცებულია, რომ წითელმიწა და მყავე ეწერი ნიადაგებისათვის ყველაზე პერსპექტიულია კოინდარი, ხანჭკოლა, ლურჯი იონჯა და სხვა. ეს ბალახები ჰექტარზე 25-35 ტონა მწვანე მასას იძლევიან. ამიტომ აღნიშნული კულტურების ციტრუსების ახალგაზრდა პლანტაციებში თესვა შემოღებულია საქართველოს სსრ ტექნიკურ კულტურათა სამინისტროს მიერ. ინსტიტუტში ამ სამუშაოს ხელმძღვანელობს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, უფროსი მეცნიერი მუშაკი მ. ბზიავა.

საინტერესო მუშაობას ეწევიან ციტრუსების სელექციის განყოფილებაში ყინვისა და ავადმყოფობის გამძლე ლიმონისა და ფორთოხლის ჯიშების გამოსაყვანად. ამ მიზნით მასობრივი შერჩევის საფუძველზე ნარგავებში უკვე გამოვლინებულია ლიმონისა და ფორთოხლის ცალკეული ხეები, რომლებიც უკეთეს შედეგს იძლევიან. მაგალითად, სოფელ ნატანებში შალვა ნაკაიძის საკარმიდამო ნაკვეთზე დღემდე დაუზიანებლად იზრდებიან და მოსავალს იძლევიან 70-წლიანი ფორთოხლის ხეები, სოფელ ნაღობილევში კონსტანტინე მუჯირის ნაკვეთზე ხარობს 25-წლიანი ლიმონი. ამ მცენარეებმა 1949-1950 წლების მკაცრ ზამთარს გაუძლეს. ამ ხეებიდან ინსტიტუტმა აიღო თესლი და კალმები, რომლებზეც წარმოეს შემდგომი დაკვირვება.

ერთ-ერთ ნაკვეთზე იზრდება მიჩურინული ჰიბრიდიზაციით მიღებული ნათესები. შეჯვარებულია ციტრუსოვანთა შედარებით უფრო ყინვაგამძლე ფორმები მათთან მონათესავე ხეებთან. მაგალითად, ბერგამია შეჯვარებულია მეიერის ჯიშის ლიმონთან და ახალ ქართულთან. იქვე ბრის ლიმონისა და ტრიფოლიატის ჰიბრიდები.

ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ 4.000 ძირი ლიმონის ნათესიდან 1949-1950 წლების ყინვას სავსებით დაუზიანებლად გაუძლო ხუთმა ძირმა. აღნიშნულ ხეებზე შემდგომი დაკვირვება მიმდინარეობს.

ასეთივე დაკვირვება და ცდები წარმოებს ფორთოხალზეც. ამ მუშაობას ხელმძღვანელობენ ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ვ. ალექსეევი და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი უფროსი მეცნიერი მუშაკი ს. ფირცხალაიშვილი.

ანასეულის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მუშაკებმა უფრო უნდა გააძლიერონ მუშაობა და იბრძოლონ მიღებული შედეგების საკოლმეურნეო წარმოებაში დასანერგავად.

ვ. ჯაყელი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის კონცერტი მოსკოვში

ამას წინათ მოსკოვის კონსერვატორიის მცირე დარბაზში შედგა საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის კონცერტი ბორის ჭიაურელის, გივი ხატიაშვილის, ალექსანდრე ბეგალიშვილისა და გიორგი ბარნაბიშვილის მონაწილეობით. კონცერტის პროგრამაში იყო ახალგაზრდა ქართველი კომპოზიტორების — სულხან ცინცაძისა და ნიკოლოზ გუდიაშვილის ახალი ნაწარმოებები.

კონცერტის პირველ განყოფილებაში შესრულებული იყო სულხან ცინცაძის მესამე კვარტეტი. როგორც გაზეთი „სოვეტსკოე ისკუსტვო“ აღნიშნავს, ეს ნაწარმოები საბჭოთა მუსიკის ძვირფასი შენაძენია. მისი დამახასიათებელია ღრმა შინაარსი, სრულყოფილი ფორმა და მკაფიო ეროვნული კოლორიტი. ანსამბლმა შეძლო ნაწარმოებთა ყველა მონაცემის სრულყოფილად და მკაფიოდ გადმოცემა. მსმენელებზე შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა აგრეთვე კვარტეტის მიერ შესრულებულმა ს. ცინცაძის „მწყემსის სიმღერამ“ და „საცეკვაომ“.

შემდეგ კვარტეტმა და პიანისტმა ა. იოხელესმა შეასრულეს ნიკოლოზ გუდიაშვილის კვინტეტი — ორიგინალური, სინტეზური ნაწარმოები ფორმისა და შინაარსის მხრივ. გაზეთი „სოვეტსკოე ისკუსტვო“ აღნიშნავს: საქართველოს სახელმწიფო კვარტეტი წარმოადგენს მტკიცე, მონოლითურ შემოქმედებითს კოლექტივს, რომელსაც ახასიათებს სტილის მშვენიერი შეგრძნობა, ნაწარმოებთა ემოციური შინაარსის გადმოცემის უნარი. აღსანიშნავია აგრეთვე ინსამბლის მჭიდრო შემოქმედებითი კავშირი ახალგაზრდა ნიჭიერ ქართველ კომპოზიტორებთან.

საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის კონცერტმა მოსკოვის მუსიკალური საზოგადოებრიობის დიდი მოწონება დაიმსახურა.

შენდება სასპორტო მოედნები, დარბაზები

გორი. (საკ. კორ.). ყოველწლიურად იზრდება სპორტსმენთა რიცხვი გორში, უმჯობესდება სასპორტო აღჭურვილობის ხარისხი. უკანასკნელ ხანს აქ მოეწყო ფეხბურთისა და კალათბურთის მოედნები, აგრეთვე სასროლი ტირები, სასპორტო დარბაზები. ახლა საკუთარი სასპორტო მოედნები აქვთ გორის საკონსერვო ქარხანას, პედაგოგიურ ინსტიტუტს და სხვა საწარმოდაწესებულებებს. საკონსერვო ქარხნის ფიზკულტურელებს ქარხნის პროფორგანიზაციამ ამ დღეებში 15.000 მანეთის ინვენტარი და მოწყობილობა შეუძინა.

ძირითადად დამთავრებულია მშენებლობა „დინამოს“ სტადიონისა, სადაც სისტემატურად იმართება შეჯიბრებანი როგორც რესპუბლიკის, ისე ქალაქის პირველობაზე.

გორის სახელმწიფო პედაგოგიურმა ინსტიტუტმა საუკეთესოდ მოწყობილი სასპორტო დარბაზი ააშენა. ასეთივე სასპორტო დარბაზი ააშენა ი. გოგებაშიოლის სახელობის პედაგოგიურმა სასწავლებელმა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესია

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ატლანტიკის ბლოკის სხვა ქვეყნებმა კვლავ ცხადყვეს, რომ არა სურთ საერთაშორისო დაძაბულობის აღკვეთა და გამაღებული შეიარაღების შეწყვეტა

ა. ი. ვიშინსკის გამოსვლა

პარიზი, 17 იანვარი. (საკუთრივ სპეც. კორ.). პოლიტიკური კომიტეტის დღეგანდელ დღის სხდომაზე დამთავრდა საერთო კამათი „ახალი მსოფლიო ომის საფრთხის საწინააღმდეგო და ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის დელეგაციის მიერ შეტანილ წინადადებათა გამო.

ცნობილია, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა ქვეყნების დელეგაციები, რომელნიც აგრესიულ ბირთვს შეადგენენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ცდილობდნენ სამტაფი გაეწიათ მათთვის ესოდენ არასასიამოვნო საბჭოთა წინადადებების განხილვისათვის. მაგრამ ამ წინადადებებს ისე მხურვალედ გამოეხმაურნენ ყველა ქვეყნის ხალხთა მასების ფართო ფენები, რომ ჩაიფუშა ეს ცდა—მიეჩქმალათ მშვიდობის უზრუნველსაყოფად საბჭოთა კავშირის მიერ წარდგენილ ღონისძიებათა პროგრამა.

საბჭოთა წინადადებების გამო პოლიტიკურ კომიტეტში დისკუსია გაჩაღდა. ამ დისკუსიაში, რომლის დროსაც ამერიკის ბანაკის ქვეყნების წარმომადგენელნი გაურბოდნენ საბჭოთა წინადადებების არსებითს განხილვას, გამოვლინდა ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო გეზი, ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო პოლიტიკური კურსი; ერთი, რომელსაც ახორციელებენ საბჭოთა კავშირი და დემოკრატიული და ანტიიმპერიალისტური ბანაკის სხვა ქვეყნები და რომელსაც მოჰყვება საერთაშორისო დაძაბულობის აღკვეთა და ყველა ხალხისათვის მშვიდობიანი შრომის უზრუნველყოფა, და მეორე კურსი, რომელსაც ახორციელებენ ამერიკის შეერთებული შტატები და მათზე დამოკიდებული ქვეყნები, და რომელიც მიმართულია ახალი მსოფლიო ომის მომზადებისაკენ.

პოლიტიკურ კომიტეტში დისკუსიის შედეგები ვრცელი და დამაჯერებელი სიტყვით შეაჯამა სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ა. ი. ვიშინსკიმ. ვიშინსკის რომ სიტყვა უნდა წარმოეთქვა, ეს ჯერ კიდევ გუშინ გამოაცხადეს, და სესიის მონაწილენი, ჟურნალისტები და საზოგადოება, რომელიც ასამბლეის სხდომებს ესწრება, დიდი ინტერესით მოელოდნენ ამ სიტყვას. საბჭოთა დელეგაციის მეთაურის ორსაათიანი სიტყვა კომიტეტის ხალხით გაჭედილ დარბაზში გაისმა, როგორც მგზნებარე და დამაჯერებელი მხილება ამერიკა-ინგლისის ბლოკის აგრესიული განზრახვებისა და როგორც მოწოდება საბჭოთა კავშირის მიერ შეტანილ ღონისძიებათა ნათელი და კონკრეტული პროგრამის საფუძველზე ომის თავიდან აცილებისაკენ.

ვიშინსკიმ დაწვრილებითი, გულმოდგინე და კარგად დასაბუთებული ანალიზი გაუკეთა საბჭოთა წინადადებების თვითეულ პუნქტს, აგრეთვე იმ საწინააღმდეგო მოსაზრებებს, რომლებიც ამერიკის აგრესიული ბანაკის ქვეყნების წარმომადგენლებმა წამოაყენეს ამ წინადადებათა წინააღმდეგ. მან აღნიშნა, რომ ამ წარმომადგენლების გამოსვლების ხასიათი და კილო, როლების განაწილება, — ყოველივე ეს ამხილებს, რომ არსებობს წინასწარი შეთანხმება, რომლის მიზანია არსებითად არ იქნას განხილული სსრ კავშირის დელეგაციის მიერ შემოტანილი რეზოლუციის პროექტი, რომელიც მიმართულია ახალი მსოფლიო ომის საფრთხის თავიდან აცილებისა და ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებისაკენ.

ამ უეკეელი შეთანხმებით, თქვა ვიშინსკიმ, აიხსნება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ცილისმწამებლური მონაჭორი და უხეში გამოხდომანი, რაც მომაბეზრებლად მეორდება ზოგიერთი დელეგატის გამოსვლებში და რაც აშკარად ნაკარუდევია ამისათვის, რომ რაც შეიძლება უფრო ძლიერ ამღვრიონ წყალი—მღვრიე წყალში თევზის ჭერა უფრო ადვილია,—რათა უფრო მოხერხებულად აუარონ გვერდი ძირითადი მნიშვნელოვანი საკითხების განხილვას და რათა ფაქტების არასწორი გაშუქებითა და დამახინჯებითაც კი სცადონ საზოგადოებრივი აზრის მოტყუება.

სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ამხილა საზიზღარი ინტასაბჭოთა ინსინუაციები და ჭორები, რასაც მიმართავს იმ ქვეყნების წარმომადგენლებმა, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში აგრესორულ ბირთვს შეადგენენ, რათა დაეფარათ თავიანთი უარი საბჭოთა წინადადებების მიღებაზე, რომლებიც ნამდვილად მიმართულია საერთაშორისო დაძაბულობის აღმოფხვრისა და მშვიდობის უზრუნველყოფისაკენ. მან ამხილა აგრეთვე იმ მოგონილი არგუმენტების სრული სიყალბე და აშკარა უსაფუძვლობა, რომლებიც გამოიყენეს ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკა-ინგლისის ბლოკში შემავალი სხვა ქვეყნების დელეგაციებმა, „რათა ხელი შეეშალათ გენერალური ასამბლეისათვის — არსებითად განეხილა და მიეღო გადაწყვეტილებანი საბჭოთა კავშირის იმ წინადადებებზე, რომლებიც მიმართულია ატომური იარაღის აკრძალვის, შეიარაღების შემცირებისა და ამ ღონისძიებებისადმი კონტროლის დაწესებისაკენ“

დასასრულ ა. ი. ვიშინსკიმ გამოთქვა საბჭოთა კავშირის დელეგაციის ღრმა რწმენა, რომ მის მიერ წარდგენილი მშვიდობის ნამდვილი პროგრამის მიღება და ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს მიერ ამ პროგრამის თანმიმდევრული შესრულება აღკვეთს ახალი მსოფლიო ომის საფრთხეს, განამტკიცებს ხალხთა მშვიდობასა და მეგობრობას.

ვიშინსკის სიტყვას შემდეგ თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ დისკუსია დამთავრდა და კომიტეტი კენჭისყრას უნდა შეუდგეს.

როგორც ცნობილია, დისკუსიის დროს ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლები მოუწოდებდნენ მათს მორჩილ უმრავლესობას უარეყო საბჭოთა რეზოლუციის პროექტის პირველი პუნქტი, რომელიც ითვალისწინებს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრობასთან შეუთავსებლად ცნობილ იქნას ატლანტიკის ბლოკში მონაწილეობა და სხვის ტერიტორიებზე სამხედრო ბაზების შექმნა, მეორე პუნქტი, რომელიც შეეხება კორეის პრობლემის მშვიდობიან მოწესრიგებას და მეოთხე პუნქტი ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ.

რაც შეეხება საბჭოთა დანარჩენ წინადადებებს, სახელდობრ მე-3, მე-4, მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტებს, რომლებიც ითვალისწინებენ ატომური იარაღის აკრძალვას, ხუთი დიდი სახელმწიფოს შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირებას და ამ ღონისძიებათა განხორციელებისადმი მტკიცე საერთაშორისო კონტროლის დაწესებას, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის დელეგაციებმა, მათი პირდაპირ უარყოფა რომ ვერ გაბედეს, შემოვლითი მანევრი გამოიყენეს. მათ შეიტანეს რეზოლუციის ერთობლივი პროექტი, რომელიც მოითხოვს, რომ კომიტეტმა არ მიიღოს გადაწყვეტილებანი საბჭოთა ამ წინადადებების გამო და განიარაღების კომისიას გადასცეს ისინი.

საფრანგეთის ბურჟუაზიული პრესა აღიარებდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციას მოუხდება მიმართოს ძლიერ ზეგავლენასა და სხვადასხვა ხრიკებს, რათა დელეგაციათა უმრავლესობას ხმა მოაცემინოს ამ რეზოლუციისათვის, რომლის მიზანია საბჭოთა წინადადებების დასამარება. ზოგიერთ გაზეთს ასეთ ხრიკებად მიაჩნია ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატის გროსის გუშინდელი გამოსვლაც, რომელიც შეიცავდა რაღაც ბუნდოვან დაპირებას—შეტანილ იქნას განიარაღებას კომისიაში ახალი, რაღაც გამოუტარკვეველი წინადადებანი. ამერიკის მმართველი წრეების ფრანგულმა რუპორმა—გაზეთმა „ფრან-ტირერმაც“ კი გროსის ეს განცხადება შეაფასა, როგორც ისე სოციოლოგიურ საკითხებში ისტორიული მატერიალიზმის დასაცავად. ლენინმა, ხაზი გაუსვა რა დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის ერთიანობას, ნათლად დაგვანახვა, თუ როგორ აყალბებდნენ მახისტები ისტორიული მატერიალიზმის თეორიას მარქსიზმის გნოსეოლოგიური პრინციპების გაყალბების საფუძველზე.

ლენინი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმის“ მეექვსე თავში იძლევა მახისტების სოციოლოგიურ შეხედულებათა გამანადგურებელ კრიტიკას, ამასთან იცავს და ავითარებს ისტორიული მატერიალიზმის თეორიას. ლენინი თავდაპირველად დასავლეთევროპელი მახისტების ბლეის, პეცოლდტისა და სხვების კრიტიკას იძლევა, ხოლო შემდეგ რუსი მახისტების—ბოგდანოვის, სუვოროვის, ლუნაჩარსკისა და სხვების კრიტიკაზე გადადის. ლენინმა დაამტკიცა, თუ რა განუყოფელი კავშირია რეაქციულ გნოსეოლოგიასა და რეაქციულ სოციოლოგიას შორის. ბოგდანოვი, რომელიც ფილოსოფიაში სუბიექტური იდეალიზმის თვალსაზრისზე იდგა, სოციოლოგიაში ცდილობდა ისტორიული მატერიალიზმის პოზიციებზე დარჩენილიყო. მაგრამ, როგორც ლენინმა ცხადყო, ბოგდანოვი სოციოლოგიაშიც ორივე ფენით ჩაეფლო იდეალიზმის წუმპეში. ბოგდანოვი საზოგადოებრივ ცნობიერებას საზოგადოებრივ ყოფიერებასთან აიგივებდა. მას არასწორად ესმოდა საზოგადოებრივი პროგრესის იდეა.

თავის წიგნში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ ლენინმა განავითარა პარტიულობის პრინციპი ფილოსოფიაში. ლენინი პარტიულობის პრინციპის ძირითად ამოცანად იმას თვლიდა, რომ მარქსისტებმა შეძლონ მეცნიერებაში „...რეაქციული ტენდენციის მოკვეთა, შეძლონ **თავიანთი** ხაზის გატარება და ბრძოლა მტრული ძალებისა და კლასების **მთელ ხაზთან**“ (გვ. 437). ნიღაბი ჩამოხადა რა მახისტებს, რომლებიც უპარტიობის პრეტენზიებით გამოდიოდნენ, ლენინმა დაასაბუთა, რომ ემპირიოკრიტიციზმი, მახიზმი რეაქციული, იმპერიალისტური ბურჟუაზიის ფილოსოფიაა.

ლენინთან ერთად ამხანაგმა სტალინმა შემდგომ განავითარა ფილოსოფიის პარტიულობის პრინციპი. ი. ბ. სტალინის ნაშრომი „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?“ ფილოსოფიაში პარტიული, პოლიტიკური ბრძოლის ნაყოფია. ამხანაგი სტალინი ნაშრომში „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ“, რომელიც მარქსისტული ფილოსოფიის განვითარების ახალ საფეხურს წარმოადგენს, გამოხატავს ფილოსოფიისა და პოლიტიკის განუყოფელი ერთიანობის ნიშანს, ფილოსოფიაში პარტიულობის პრინციპის შემდგომ განვითარებას.

ლენინის ნაშრომს — „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ უდიდესი მნიშვნელობა აქვს კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხისათვის, მთელი პროგრესული ძალებისათვის თანამედროვე დაბაესებული ბურჟუაზიული ფილოსოფიის წინააღმდეგ საბრძოლველად. ლენინის წიგნში მოცემული წინასწარმეტყველებანი ბურჟუაზიული იდეოლოგიის გახრწნის შესახებ საესებით გამართლდა. განსაკუთრებით ომისშემდგომი პერიოდის ბურჟუაზიული ფილოსოფია და სოციოლოგია სწორედ იმ გზით წავიდა, როგორც ეს ლენინს ჰქონდა განჭვრეტილი. პოზიტივიზმი, პრაგმატიზმი, რეალიზმი, რომანტიზმი კვლავ მოდური ფილოსოფიური მიმართულებანი გახდნენ ინგლისში და ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში და სხვაგან. გამრავლდა სხვადასხვა სახის „იზმები“, რომლებიც დიალექტიკურ-მატერიალისტური მსოფლმხედველობის წინააღმდეგაა მიმართული.

ამრიგად, თანამედროვე იდეალისტური ფილოსოფია როგორც გნოსეოლოგიაში, ისე სოციოლოგიაში წარმოგვიდგება „ახალი, საზიზღარი, ბინძური ბუნებით, რომელიც გამოხატავს ბურჟუაზიის დაცემის მთელ სიღრმეს, სიდამპლესა და სისაძაგლეს... ეს მართლაც დაღუპვისა და გახრწნის უკიდურესი წერტილია, მაგრამ ეს ძალები ჯერ კიდევ ცოცხლობენ და მათ კიდევ შესწევთ უნარი მოწამლონ მასების შეგნება“ (ენგელსი). ამ დახავსებული ბურჟუაზიული ფილოსოფიის წინააღმდეგ საბრძოლველად ლენინის წიგნს—„მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

ლენინის ნაშრომი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ კომუნიზმის მძლავრი თეორიული იარაღია.

დ. კალანდაძე

...

ნაალმდეგება სუბიექტურ იდეალიზმს, რომელიც ცოდნის წყაროს, ჭეშმარიტების შინაარსს თვით სუბიექტის ფარგლებში აქცევს და ამით ობიექტურ საფუძველს აცლის ასახვის პროცესს. იგი მიმართულია აგრეთვე აგნოსტიციზმის წინააღმდეგ, რომელიც შეუძლებლად თვლის ობიექტური სინამდვილის შემეცნებას. ასახვის ლენინური თეორია ეწინააღმდეგება აგრეთვე ობიექტურ იდეალიზმს, რომელიც ჭეშმარიტებას სრულიად წყვეტს ადამიანური ცნობიერებისაგან და მისგან დამოუკიდებელ ობიექტურ რამედ აღიარებს.

ჭეშმარიტება ლენინის განმარტებით ობიექტური სინამდვილის სწორი ასახვაა ადამიანის ცნობიერებაში. მაგრამ ადამიანს ერთბაშად და ამომწურავად როდი შეუძლია სინამდვილის ასახვა. ობიექტური სინამდვილის შემეცნება მთელი ისტორიული პროცესია, რომელიც გულისხმობს დაბლიდან მაღლისაკენ, უცოდინარობიდან ცოდნისაკენ დაუსრულებელ სვლას. ამ მხრივ შემეცნების განვითარების ყოველი ისტორიული საფეხური შეიძლება განვიხილოთ როგორც აბსოლუტურ და შეფარდებით ჭეშმარიტებათა ერთიანობა. ამრიგად, ჭეშმარიტების ბუნება წინააღმდეგობრივი ხასიათისაა. ადამიანი მიილტვის სრულად შეიცნოს სინამდვილე და გარკვეულ კონკრეტულ-ისტორიულ ფარგლებში იგი კიდევაც აღწევს მის შემეცნებას, ამ აზრით ჭეშმარიტება აბსოლუტურია. მაგრამ თვით ობიექტური სინამდვილის დაუსრულებელი განვითარება, ერთი მხრივ, ხოლო მეცნიერებისა და ტექნიკის შეუჩერებელი წინსვლა, მეორე მხრივ, არღვევს ადამიანის ცოდნის აბსოლუტურ ხასიათს და ამ აზრით ჭეშმარიტება შეფარდებითია. მაშასადამე, მიღწეული ჭეშმარიტება ერთდროულად აბსოლუტურიც არის და შეფარდებითიც. სწორედ ამ დაპირისპირებულთა ერთიანობაშია შეჭეცნების განვითარების ნამდვილი საფუძველი. ამ დაპირისპირებულთა ერთიანობაშია აგრეთვე ჭეშმარიტების კონკრეტულობის გასაღები. ჭეშმარიტება არა ზოგადი, არა აბსტრაქტული, არამედ კონკრეტულია. ლენინი და სტალინი გვასწავლიან, რომ არ არსებობს ყველა დროისა და პირობებისათვის ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი ცოდნა. მარქსიზმი დოგმატიზმის მტერია.

საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად სწორად, ჭეშმარიტად არის ასახული ჩვენს ცნობიერებაში ობიექტური სამყარო, მხოლოდ პრაქტიკაში წყდება. პრაქტიკა როგორც ჭეშმარიტების ამოსავალი წერტილი და როგორც ჭეშმარიტების კრიტერიუმი მარქსისა და ენგელსის მიერ იქნა დასაბუთებული. ლენინმა და სტალინმა კიდევ უფრო განავითარეს მარქსისტული მოძღვრება პრაქტიკის როლის შესახებ. „ცხოვრებისა და პრაქტიკის თვალსაზრისი, — წერს ლენინი, — შემეცნების თეორიის ძირითად და უპირველეს თვალსაზრისად უნდა იქცეს“ (გვ. 172). „თუ მარქსის თეორიის **გზით** ვიარეთ,—გვასწავლის ლენინი,— ჩვენ სულ უფრო და უფრო მივუახლოვდებით ობიექტურ ჭეშმარიტებას (ისე კი, რომ ვერასოდეს ვერ ამოვწურავთ მას); ხოლო **თუ სხვა რომელიმე გზით** ვიარეთ, ვერაფერს მივაღწევთ, გარდა არევ-დარევისა და ტყუილისა“ (გვ. 173).

ი. ბ. სტალინმა თავის ნაშრომში „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ“ გაამდიდრა მარქსისტული მოძღვრება შემეცნების პროცესში პრაქტიკის როლის შესახებ. „...ჩვენი ცოდნა ბუნების კანონების შესახებ, — წერს ამხანაგი სტალინი, — ცდით, პრაქტიკით შემოწმებული, წარმოადგენს სარწმუნო ცოდნას, რომელსაც ობიექტურ ჭეშმარიტებათა მნიშვნელობა აქვს, რომ სამყაროში არ არსებობენ შეუცნობადი ნივთები, არამედ არსებობენ მხოლოდ ისეთი ნივთები, რომლებიც ჯერ კიდევ არ არიან შეცნობილნი, რომლებიც გახსნილი და შეცნობილი იქნებიან მეცნიერებისა და პრაქტიკის ძალებით“.

ლენინ-სტალინის პარტიის სიძლიერე იმაშია, რომ იგი თავის პრაქტიკულ, რევოლუციურ მოღვაწეობაში ემყარებოდა და ემყარება ასახვის მარქსისტულ-ლენინურ თეორიას და ყოველთვის მტკიცედ ხელმძღვანელობს თეორიისა და პრაქტიკის განუყოფელი ერთიანობის პრინციპით. თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობა მუშათა კლასის პარტიის მანათობელი ვარსკვლავია. „პრაქტიკა—შემეცნება, კვლავ პრაქტიკა და კვლავ შემეცნება — ეს ფორმა თავის ციკლიურ განმეორებაში უსასრულოა“ — შესანიშნავად წერს მაო ძე-დუნი.

3.

ლენინმა განაზოგადა ბუნებისმეტყველების ახალი მიღწევები, რომლებიც მოპოვებულ იქნა ენგელსის გაოდაცვალებიდან იმ დრომდე, როცა დაიწერა ნაშრომი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ლენინის ამ წიგნს ფიზიკაში აღმოცენებული კრიზისის გადალახვისათვის.

მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში ბუნებისმეტყველებაში მომხდარმა ახალმა აღმოჩენებმა, კერძოდ, ფიზიკის აღმოჩენებმა ძირეულად შეცვალეს ძველი, კლასიკური ფიზიკის შეხედულებანი ატომის აგებულებაზე, დროსა და სივრცეზე, მასისა და სიჩქარის ურთიერთობაზე, სინათლეზე და მთელ რიგ სხვა პრინციპულ საკითხებზე. წინათ, როგორც ცნობილია, ატომი ნივთიერების განუყოფელ, უმცირეს ნაწილაკად მიაჩნდათ, მაგრამ ელექტრობისა და რადიოაქტივობის აღმოჩენამ შესაძლებელი გახადა ბუნების მთელ რიგ საიდუმლოებათა ამოცნობა. მიღწეულ იქნა ატომის დაშლა მის შემადგენელ ნაწილაკებად, პროტონებად და ელექტრონებად. ფიზიკოსებმა, რომლებიც მეცნიერული მსოფლმხედველობით არ იყვნენ შეიარაღებული, თავი ვერ გაართვეს ამ ახალ აღმოჩენებს და იდეალიზმში ჩაეფლნენ; „მატერია გაქრაო“ — გაიძახოდნენ ისინი. მათ ეგონათ, რომ ატომის დაშლა მატერიალიზმის საფუძველს აღღვევდა. ასე წარმოიშვა კრიზისი ფიზიკაში, ბუნებისმეტყველებაში.

ლენინმა აღმოაჩინა ფიზიკის კრიზისის ნამდვილი არსი, მიუთითა რომ ახალი ფიზიკა იდეალიზმში გადიჩეხა უმთავრესად სწორედ იმის გამო, რომ ფიზიკოსებმა არ იცოდნენ დიალექტიკური მატერიალიზმი, ისინი მატერიის, ე. ი. ფიზიკური სამყაროს უარყოფამდე მიდიოდნენ. ამასთან დაკავშირებით ლენინი იძლევა მატერიის ფილოსოფიურ განსაზღვრას. „მატერიის ცნება,—ამბობს ლენინი,— გნოსეოლოგიურად სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არ ობიექტურ რეალობას, რომელიც ადამიანს ცნობიერების დამოუკიდებლად არსებობს და რომელსაც ეს ცნობიერება ასახავს“ (გვ. 330-331). ლენინმა გვიჩვენა, რომ მატერიის ფილოსოფიური ცნების უარყოფა ნიშნავს ჩვენგან დამოუკიდებელი ობიექტური სამყაროს უარყოფას.

ლენინმა დაასაბუთა, რომ ყოველი მეცნიერული ცოდნა მატერიის აღიარებისა და მისი თვისებების შესახებ ცდით და პრაქტიკით შემოწმებული ობიექტურ ჭეშმარიტებას გამოხატავს, მაგრამ ისტორიული განვითარების თვალსაზრისით მას შეფარდებითი ხასიათი აქვს. რაც შეეხება მატერიის ფილოსოფიურ გაგებას, იგი დაუბერებელია, აბსოლუტურია, რადგან შეუძლებელია უარვყოთ ჩვენი ცნობიერების გარეთ ობიექტური სინამდვილის არსებობა იმის მიუხედავად, თუ როგორ იქნება ეს სინამდვილე ასახული და შესწავლილი. ამრიგად, ლენინმა ცხადყო თუ რამდენად უსაზრობას წარმოადგენდა იდეალისტ ფიზიკოსთა განგაში „მატერიის გაქრობის“ შესახებ.

ლენინის წინასწარმეტყველება იმის შესახებ, რომ ატომი ამოუწურავია, ისე როგორც სამყარო, რომ კვლავ შესაძლებელი იქნება ატომში ახალი ნაწილაკების აღმოჩენა, სავსებით დადასტურა ფიზიკის უახლესმა აღმოჩენებმა, ატომის საიდუმლოებათა ამოცნობის ახალმა მოვლენებმა. დიალექტიკური მატერიალისტური მსოფლმხედველობა მძლავრ იარაღად იქცა ბუნებისმეტყველ მკვლევართათვის. საბჭოთა მეცნიერები, შეიარაღებულნი არიან რა მე

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში

ი. ა. მაღიკის განცხადება ქაშმირის საკითხის შესახებ უშიშროების საბჭოს 1952 წლის 17 იანვრის სხდომაზე

ოთხ წელიწადზე მეტი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც უშიშროების საბჭომ დაიწყო ქაშმირის საკითხის განხილვა. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი განსაკუთრებულ აქტივობას იჩენდნენ და იჩენენ უშიშროების საბჭოში ამ საკითხის განხილვისას, ამ საკითხის ეგრეთწოდებული გადაჭრის მომზადებასა და განხორციელებაში. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენლებმა უშიშროების საბჭოში მთელი ამ პერიოდის მანძილზე მრავალი წინადადება და რეზოლუციის პროექტი შემოიტანეს ამ საკითხზე და მიაღებინეს საბჭოს. იქმნებოდა კომისიები ქაშმირის საკითხის მოსაწესრიგებლად, ინიშნებოდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შუამავლები და წარმომადგენლები ამ საკითხის მოსაწესრიგებლად. მაგრამ დღემდე ქაშმირის საკითხის გადაჭრას ერთი ნაბიჯითაც არ წაუწევია წინ. წამყვანი როლი ამ კომისიებში, ისევე როგორც შუამავლობისა და წარმომადგენლობის გზით ამ საკითხის მოწესრიგების გეგმებში, მუდამ ეკუთვნოდათ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენლებს. 1950 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლად ქაშმირში მოქმედებდა ავსტრალიელი ოუენ დიქსონი. მისი მისიის ჩაფუშვის შემდეგ მის შემცვლელად დაინიშნა, ამერიკის შეერთებული შტატების დაკინებული მოხსენებაც ამ-ამად უშიშროების საბჭოს წარმოედგინა. მაგრამ გრეჰემის მისიასაც ისეთივე ბედი ეწია, როგორც მის წინამორბედისას. ქაშმირის საკითხი კვლავ მოუწესრიგებელია. ინდოეთისა და პაკისტანის დავა გაძლიერდება. ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი კვლავ ერევიან ქაშმირის საკითხის მოწესრიგებაში და ზედიზედ გვთავაზობენ გეგმებს. ყველა ეს გეგმა იფუშება.

რა არის მის მიზეზი, რომ ქაშმირის საკითხი დღემდე მოუწესრიგებელია, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის გეგმები ქაშმირის მიმართ უნაყოფო აღმოჩნდა ქაშმირის საკითხის მოწესრიგების თვალსაზრისით? ძნელი როდია ამის დანახვა, რომ ეს უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად იმით აიხსნება, რომ ამ გეგმებს ქაშმირის მიმართ დამპყრობლური იმპერიალისტური ხასიათი აქვთ, რადგან ისინი დამყარებული როდია ქაშმირის საკითხის ნამდვილი მოწესრიგებისადმი მისწრაფებაზე. ისინი ისახავენ სხვა მიზნებს, სხვა, პირდაპირ საწინააღმდეგო ამოცანებს. ამ გეგმების მიზანია ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ჩარევა ქაშმირის საშინაო საქმეებში, ქაშმირის საკითხზე ინდოეთისა და პაკისტანის დავის განგრძობა, ქაშმირის გადაქცევა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის სამეურვეო ტერიტორიად ქაშმირისათვის „გაერთიანებული ერების მეშვეობით ხელშეწყობის“ საბაბით. ბოლოს, ქაშმირის მიმართ ამ გეგმების მიზანი ის არის, რომ ქაშმირის ტერიტორიაზე შეიყვანონ ამერიკა-ინგლისის ჯარები და ქაშმირი გადაქცინონ ამერიკა-ინგლისის კოლონიად და დასაყრდენ სამხედრო-სტრატეგიულ პუნქტად.

ცდილობდნენ რა განეხორციელებინათ ეს გეგმები ქაშმირის მიმართ, ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი ამასთან ერთად ყოველივე ღონეს ხმარობდნენ, რათა არ მიეცათ შესაძლებლობა ქაშმირელი ხალხისათვის თვითონ, გარედან ზეგავლენის მოუხდენლად და ინგლის-ამერიკის ჩაურევლად გადაეწყვიტა თავისი ბედი. ეფარებიან რა დემოკრატიულ ფრაზეოლოგიას, ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი იმთავითვე ცდილობენ თავს მოახვიოს ქაშმირელ ხალხს თავიანთი დიქტატი, თავისი მომავალი ბედის საკითხი გადაწყვიტონ არა თავისუფალი ნების გამოვლინებით, არამედ ამერიკელი წარმომადგენლების კარნახით, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელს ეფარებიან.

ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა არ დაუშვან ქაშმირის სტატუსის საკითხის გადაჭრა თვით ქაშმირელი ხალხის თავისუფალი და დემოკრატიული ნება-სურვილის გამოვლინებით. როცა 1950 წლის ოქტომბერში ცნობილი გახდა, რომ „ჯამუს და ქაშმირის ეროვნული კონფერენციის“ გენერალურმა საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომელიც რჩევას იძლეოდა ქაშმირში მოეწვიათ დამფუძნებელი კრება ქაშმირის მომავალი სტრუქტურისა და სტატუსის დასადგენად, ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი დაუყოვნებლივ ჩაერივნენ ამ საქმეში, რათა ქაშმირელი ხალხისათვის არ დაენებებინათ დამოუკიდებლად გადაეჭრა თავისი ბედი და განესაზღვრა თავისი ქვეყნის სტატუსი. მათ სასწრაფოდ მოახვიეს თავს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ დამფუძნებელი კრების მოწვევა ქაშმირში და ყველა ღონისძიება, რაც კი შეიძლება დამფუძნებელმა კრებამ მიიღოს ქაშმირის ან რომელიმე მისი ნაწილის მომავალი სტრუქტურისა და სტატუსის დასადგენად, არ ჩაითვლება ქაშმირის მომავალი ბედის გადაწყვეტად.

ეს სხვა არა ყოფილა, თუ არა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის უხეში ჩარევა ქაშმირელი ხალხის საშინაო საქმეებში და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპების პირდაპირი დარღვევა. გაერთიანებული ერების წესდება, როგორც ცნობილია, ითვალისწინებს დიდი და მცირე ერების უფლებათა თანასწორობას. წესდების 1 მუხლი შეიცავს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს, რომელიც ითვალისწინებს ერებს შორის ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპის პატივისცემის საფუძველზე მეგობრული ურთიერთობის განვითარებას.

ქაშმირის საკითხის ეგრეთწოდებული მოწესრიგების ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის გეგმები უხეშად არღვევენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ამ მნიშვნელოვან პრინციპს. ეს გეგმები ქაშმირელ ხალხს არამცენ თვითგამორკვევის უფლებას. ამ გეგმებით ცდილობენ თვითგამორკვევის უფლება შეცვალონ ინგლის-ამერიკის დიქტატით. ქაშმირელ ხალხს წართმეული აქვს შესაძლებლობა დამოუკიდებლად და თავისუფლად, თავისუფალი ნება-სურვილის გამოვლინებით გადაჭრას საკუთარი ბედი და განსაზღვროს ქაშმირის მომავალი სტრუქტურა და სტატუსი. ამის ნაცვლად ინგლის-ამერიკის ზემოხსენებულ რეზოლუციაში ქაშმირელ ხალხს თავს მოახვიეს „პლებისციტი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონტროლით“. სხვანაირად რომ ვთქვათ, თავს მოახვიეს პლებისციტი ამერიკისა და ინგლისის წარმომადგენელთა მეთვალყურეობით, და არა მარტო ამ წარმომადგენელთა მეთვალყურეობით, არამედ ინგლის-ამერიკის შეიარაღებული ძალების კონტროლითაც. როგორც ცნობილია, რეზოლუციის ერთობლივი პროექტი, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენლებმა უშიშროების საბჭოში შემოიტანეს 1951 წლის 21 თებერვალს (დოკუმენტი 6/2017), შეიცავდა პირდაპირ მოთხოვნას, რომ ქაშმირში გასაგზავნად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების მიერ შეიარაღებული ძალების გამოყოფის სახით ქაშმირის ტერიტორიაზე შეეყვანათ უცხოეთის ჯარები. ქაშმირში ჯარების გაგზავნის საბაბად აღნიშნული იყო, რომ ასეთი ჯარები თითქოს საჭიროა „დემილიტარიზაციის გასაადვილებლად და პლებისციტის მოსაწყობად“. პროექტში პირდაპირ იყო წამოყენებული მოთხოვნა — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგრეთწოდებულ წარმომადგენელს ქაშმირში მისცემოდა უფლება ეზრუნა აღნიშნული საბაბით „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების ჯარების“ ქაშმირში შეყვანის საკითხისათვის. თუ ამასთან გავითვალისწინებთ, რომ, ამერიკის შეერთებული შტატების მოთხოვნით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლად ქაშმირში იმ დროიდან დანიშნული იყო ამერიკელი, მაშინ საკვლევით ცხადი გახდება მიზანი წინადადებისა ქაშმირში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების შეყვანის შესახებ. ეს ამერიკელი „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენელი“ ქაშმირს ჩავიდა, როგორც ცნობილია, ამერიკელი ექსპერტებისა და მრჩეველების მრავალრიცხოვანი შტატის თანხლებით, რომელთა შორის მთავარ როლს სამხედრო პირები ასრულებენ. მთავარი სამხედრო მრჩეველის პოსტი ამერიკელ გენერალს უკავია.

შემდეგში, ინდოეთის წარმომადგენლის წინააღმდეგობასთან დაკავშირებით, ინგლის-ამერიკის წრნადადება ქაშმირის ტერიტორიაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების შეყვანის საკითხისათვის, შეტანილი არ ყოფილა საბჭოს მიერ მიღებულ რეზოლუციაში ამის გამო, რომ ერთ-ერთმა დაინტერესებულმა მხარემ ეს წინადადება არ მიიღო. მაშასადამე, უშიშროების საბჭოს რეზოლუციები, რომლებიც განსაზღვრავენ ქაშმირში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლის რწმუნებებს, არ შეიცავენ არავითარ უფლებას იმუშაოს ქაშმირში უცხოეთის ჯარების შეყვანის საკითხზე.

ბ-ნ გრეჰემს უფლება არა ჰქონდა უშიშროების საბჭოს უკითხავად და საბჭოს მიერ საბოლოო რწმუნებების მიუცემლად ასეთი კითხვა მიეცა ინდოეთისა და პაკისტანის მთავრობებისათვის. მიუხედავად ამისა, მან ასეთი კითხვით მიმართა აღნიშნული ქვეყნების მთავრობებს.

ბუნებრივია, იბადება კითხვები: ვინ მისცა მას ამის უფლება. უშიშროების საბჭოს თანხმობის არ მოუცია უფლება. მაშ ვინ მისცა? პასუხი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი. როგორც ჩანს, ბ-ნმა გრეჰემმა რწმუნება მიიღო უშუალოდ ვაშინგტონიდან პენტაგონისაგან.

ყოველივე აქედან გამომდინარეობს, რომ ბ-ნმა გრეჰემმა, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენელმა, გადაეპარა თავის რწმუნებებს და, იცავდა რა ამერიკა-ინგლისის ბლოკის საერთო გეზს, თავის მხრივ, ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა შეექმნა ნიადაგი „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების“ სახით ქაშმირში ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის შეიარაღებული ძალების შესაყვანად.

ყოველივე ეს სავსებით ამყოლავნებს ქაშმირის მიმართ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის გეგმებისა და განზრახვის ნამდვილ ხასიათს. უშიშროების საბჭოს მიერ ქაშმირის საკითხის განხილვის ოთხი წლის ისტორია საკმაოდ ადასტურებს ამ გეგმების მტაცებლურ, იმპერიალისტურ ხასიათს. ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი ამთავითვე დაადგნენ ქაშმირელი ხალხის საშინაო საქმეებში ჩარევის გზას. მაგალითად, ყველას ახსოვს ქაშმირის საკითხში ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის პირდაპირი ჩარევის ფაქტი, როცა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ტრუმენმა და ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ატლიმ 1949 წლის აგვისტოში წინადადება წამოაყენეს ქაშმირის საკითხის გადაჭრა საარბიტრაჟოდ გადასცემოდა მესამე მხარეს. ამ საკითხში დაინტერესებულ სახელმწიფოებზე მაშინ პირდაპირი ზეგავლენა მოახდინეს. ზეგავლენა იმდენად საგრძნობი იყო, რომ მაგალითად, ინდოეთის პრემიერ—მინისტრი იძულებული გახდა ერთ-ერთ თავის გამოსვლაში შემდეგი განეცხადებინა: „ცდილობენ გავლენა მოახდინონ ჩვენზე, განსაკუთრებით ქაშმირის საკითხში. მე არასოდეს ამის მსგავსი არა მინახავს რა. ეს ზეგავლენა მოწმობს, რომ ამ საკითხებს განიხილავენ არა მათი შინაარსის გამო, არამედ სრულიად სხვა მიზეზებით“.

ეს იმას მოწმობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი იმთავითვე დაადგნენ ქაშმირელი ხალხისათვის თავიანთი „არბიტრაჟის“ თავსმოხვევის გზას, როგორც ქაშმირელი ხალხისათვის, ისე ინდოეთისა და პაკისტანის მთავრობებისათვის თავიანთი წინადადებათა თავსმოხვევის გზას. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის სწორედ ეს პოლიტიკა უშლის ხელს ქაშმირის საკითხის გადაჭრას, არ აძლევს შესაძლებლობას ქაშმირელ ხალხს თვითონ გადაჭრას თავისი ბედი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით გათვალისწინებული ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპის საფუძველზე.

ცდილობენ რა თავს მოახვიონ ქაშმირელ ხალხს თავიანთი არბიტრაჟი თუ იძულებითი პლებისციტი „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონტროლით“, ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი ამასთან ერთად ყოველივე ღონეს ხმარობდნენ, რათა არ მიეცათ შესაძლებლობა ქაშმირელი ხალხისათვის თვითონ, გარედან ზეგავლენის მოუხდენლად და ინგლის-ამერიკის ჩაურევლად გადაეწყვიტა თავისი ბედი. ეფარებიან რა დემოკრატიულ ფრაზეოლოგიას, ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი იმთავითვე ცდილობენ თავს მოახვიოს ქაშმირელ ხალხს თავიანთი დიქტატი, თავისი მომავალი ბედის საკითხი გადაწყვიტონ არა თავისუფალი ნების გამოვლინებით, არამედ ამერიკელი წარმომადგენლების კარნახით, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელს ეფარებიან.

ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა არ დაუშვან ქაშმირის სტატუსის საკითხის გადაჭრა თვით ქაშმირელი ხალხის თავისუფალი და დემოკრატიული ნება-სურვილის გამოვლინებით. როცა 1950 წლის ოქტომბერში ცნობილი გახდა, რომ „ჯამუს და ქაშმირის ეროვნული კონფერენციის“ გენერალურმა საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომელიც რჩევას იძლეოდა ქაშმირში მოეწვიათ დამფუძნებელი კრება ქაშმირის მომავალი სტრუქტურისა და სტატუსის დასადგენად, ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი დაუყოვნებლივ ჩაერივნენ ამ საქმეში, რათა ქაშმირელი ხალხისათვის არ დაენებებინათ დამოუკიდებლად გადაეჭრა თავისი ბედი და განესაზღვრა თავისი ქვეყნის სტატუსი. მათ სასწრაფოდ მოახვიეს თავს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ დამფუძნებელი კრების მოწვევა ქაშმირში და ყველა ღონისძიება, რაც კი შეიძლება დამფუძნებელმა კრებამ მიიღოს ქაშმირის ან რომელიმე მისი ნაწილის მომავალი სტრუქტურისა და სტატუსის დასადგენად, არ ჩაითვლება ქაშმირის მომავალი ბედის გადაწყვეტად.

ეს ნიშნავს, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ეგოისტური ინტერესებიდან გამომდინარე, ამ ორ ქვეყანას ეშინოდა, ქაშმირელ ხალხს, ინდოეთსა და პაკისტანს ნებადართული ყოფილიყო